პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეუერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНКСОЙ ССР

კვირა, 24 მარტი, 1946 წ. № 61 (7534). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სანიმუშოდ ჩავატაროთ ჩაისა და ციტრუსების საგაზაფხულო სამუშაოები — მოწინავე. (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმება საჰაერო მიმოსვლის მოწყობის შესახებ. (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები: კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. (1-ლი, მე-2 და მე-3 გვერდი).

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონების განსახორციელებლად. მიტინგები თბილისის საწარმოებში. (მე-4 გვერდი).

საქართველოს მოწინავირეთა კავშირის 25 წლისთავი. (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები: ბევინის განცხადება პოლონელ ჟურნალისტთა პოლონეთში დაბრუნების შესახებ; ბერძნული გაზეთების პროტესტები 31 მარტს არჩევნების ჩატარების წინააღმდეგ (მე-4 გვერდი).

სანიმუშოდ ჩავატაროთ ჩაისა და ციტრუსების საგაზაფხულო სამუშაოები

საქართველო ფართოდ არის ცნობილი თავისი ძვირფასი სუბტროპიკული კულტურებით. საბჭოთა კავშირში არსად არ არის სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების ისეთი დიდი პერსპექტივები, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში. პარტია, მთავრობა, პირადად ამხანაგი **სტალინი** უდიდეს ყურადღებას უთმობენ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის საკითხებს. ამ ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგად ახლა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარი უჭირავთ. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ყოველწლიურად ათასობით ტონა ჩაის და ასეულ მილიონობით ცალ ციტრუსებს იღებენ.

მაგრამ ეს საკმარისი როდია. აუცილებელია ჩაისა და ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარება. გარდა ამისა, „უკანასკნელ წლებში ომთან დაკავშირებულ სიძნელეთა გამო ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ნარგავები მნიშვნელოვნად დაზარალდნენ. ბევრ ადგილას ისინი მოითხოვენ რემონტს, ხოლო მათი ნაწილი სრულიად უნდა განახლდეს“. (ლ. პ. ბერია).

სუბტროპიკული რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს უკვე აქვთ კონკრეტული სამოქმედო პროგრამა. ეს პროგრამა არის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანთა კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მიღებულია დიდი სტალინის ინიციატივით. აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა.

სოხუმის რაიონის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობა „ეშერაში“ საკავშირო მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებს მთელი კოლექტივი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა. მან სერიოზული ვალდებულებანი იკისრა ციტრუსოვანთა მოვლა-დამუშავების, ახალი პლანტაციების გაშენებისა და მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის. ამას პრაქტიკული შედეგიც მოჰყვა. გაძლიერდა მუშაობა ნარგავების მოვლისათვის. მეურნეობის სანერგეში გამოყვანილია საუკეთესო ფორთოხლის ჯიში: ვაშინგტონ-ნაველი 10.000 ძირი, ლიმონი—ახალი ქართული —20.000 ძირი. ციტრუსოვანთა მეურნეობის განვითარებისათვის სერიოზულ მუშაობას ეწევიან ბათუმის რაიონში. შარშან მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა კარგად მოუარეს ნარგავებს, მეჩხერიანობის მოსაპობად დარგეს 29.800 ძირი ფორთოხალი, მანდარინი, ლიმონი, რომელთაგანაც გაიხარა 27.430 ძირმა. 1945 წელს ბათუმის რაიონმა ქვეყანას მისცა 77.450.500 ცალი მარტო მანდარინი.

მიუხედავად იმისა, რომ წელს ზამთარი საკმაოდ თბილი იყო და შესაძლებლობა გვქონდა მაღალხარისხოვნად ჩაგვეტარებინა ჩაისა და ციტრუსების საზამთრო სამუშაოები, მთელ რიგ რაიონებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს მაინც მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აქვთ. განსაკუთრებით ეს ითქმის ჩხოროწყუს, ხობის, წულუკიძის, ზუგდიდის, ლანჩხუთის და ზესტაფონის რაიონების შესახებ. მართალია, უკანასკნელ ხანს დაბარვის ტემპი გაძლიერდა, მაგრამ ეს არ კმარა. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩაის დაბარვის გეგმის შესრულების ვადა 1 აპრილია.

არის ფაქტები, რომ ჩაის პლანტაციების დაბარვის აგროწესებს არღვევენ. გეგეჭკორის რაიონში დაბარვის ნაცვლად აწარმოებენ მწკრივთა შორის ხვნას და ისიც 7-8 სანტიმეტრის სიღრმით. ზოგან ნაკლები ყურადღება ეთმობა პირუტყვისაგან პლანტაციების დაცვას.

ჭიანურდება ჩაის ბუჩქის სხვლა წულუკიძის, სამტრედიის, წყალტუბოს, ხობის და აბაშის რაიონებში. რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ჩაის პლანტაციებში აზოტოვანი სასუქის შეტანა.

ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლა-დამუშავებაში ვხვდებით მთელ რიგ ნაკლოვანებებს. ბათუმის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სუსტად იბრძვიან ნარგავების დაავადებათა და ძავნებელთა წინააღმდეგ. ამ მხრივ საქმე უფრო ცუდათაა კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. რაიონს საკმაო რაოდენობით არ მოეპოვება პლანტაციების შესაწამლი აპარატები. ჩხოროწყუს რაიონში ციტრუსების გასაშენებლად უნდა მომზადდეს 19 ჰექტარი ნიადაგი, 15 მარტისათვის მომზადებული იყო მხოლოდ 3 ჰექტარი. დიდი გარღვევებია ტრიფოლიატის თესვისა და საძირეების გადარგვის გეგმის შესრულებაში. მსგავს ფაქტებს სხვაგანაც ვხვდებით.

ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა დაუყოვნებლივ დასახონ საჭირო ღონისძიებანი ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების მოვლა-დამუშავებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. უნდა მივაღწიოთ ჩაისა და ციტრუსების მოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას.

მთავარია საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩავატაროთ ჩაის საგაზაფხულო სამუშაოები: დაბარვა, საძრენაჟო ქსელის გაწმენდა, სასუქის შეტანა, გასხვლა, განსაკუთრებული ძრუნველობით მოვეპყროთ ციტრუსებს, დავაწესოთ კონტროლი შესრულებულ სამუშაოთა ხარისხისადმი, ძოვაწესრიგოთ შრომა და ფართოდ ჩავაბათ კოლმეურნენი სტახანოვური ნაკვეთების დამუშავებაში, რაც მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

სოფლად ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის. საქართველოს კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები იწონებენ წითელწყაროელ კოლმეურნეთა ინიციატივას და ახალ ვალდებულებებს კისრულობენ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებული კანონების აღსანიშნავად ისინი მჭიდროდ შემოჰქმედებითი შრომით გამოხატავენ თავიანთ ერთსულოვან მისწრაფებას — მეტი ხაროფლა-სამეურნეო პროდუქტები მისცენ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს.

სუბტროპიკული რაიონების მშრომელები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან დიდი **სტალინის** მიერ წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმული ისტორიული სიტყვით, ბოლშევიკურად ჩაატარებენ ჩაისა და ციტრუსების საგაზაფხულო სამუშაოებს და უზრუნველჰყოფენ საბჭოთა სუბტროპიკების შემდგომი აყვავების დიადი პროგრამის განხორციელებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

10) აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ვ. ა. კალამკაროვი (საერთო საკითხებზე), გ. ი. ბოლდირევი, ი. დ. კარიაგინი.

11) სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ვ. ს. ფედოროვი (საერთო საკითხებზე), მ. ნ. კოზლოვი, ს. ხ. დადიანი, ფ. ი. ჩუპინი.

12) საავიაციო მრეწველობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ა. ს. იაკოვლევი (საერთო საკითხებზე), ს. ნ. შიშკინი, პ. ვ. დემენტიევი, ვ. პ. ბალანდინი, მ. მ. ლუკინი, გ. ვ. ვიზირიანი, ა. ი. კუზნეცოვი, ს. ვ. სანდლერი.

13) მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ი. ვ. იუშინი (საერთო საკითხებზე), ტ. რ. ბობირევი, ნ. ფ. პესჩანი, კ. ი. კოვალი, ვ. ფ. ქიგალინი, ნ. ტ. სტეპანოვი, პ. გ. გრეშნიხი.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შეთანხმება საჰაერო მიმოსვლის მოწყობის შესახებ

ამ ღღეებში ქალაქ მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის მთავრობისა და პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული ერთიანობის დროებითი მთავრობის წარმომადგენლების მოლაპარაკება საჰაერო მიმოსვლის მოწყობის შესახებ.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის სულისკვეთებით და დამთავრდა შეთანხმების ხელმოწერით.

შეთანხმებით გათვალისწინებულია მოსკოვ - ვარშავის, მოსკოვ - ვარშავა-ბერლინისა და ვარშავა-ბერლინის საჰაერო ხაზების ექსპლოატაცია.

ამავე შეთანხმებით გათვალისწინებულია, რომ სსრ კავშირი ტექნიკურ დახმარებას გაუწევს პოლონეთის საძოქალაქო საჰაერო ფლოტს.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს:

სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით ავიაციის მარშალმა **ასტახოვმა,** პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებით — ვიცე-მინისტრმა **ოლევინსკიმ.** (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 60).

ჩაითვალოს ქვანახშირის მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ქვანახშირის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება მისი გაუხვების, დახარისხებისა და დაბრიკეტების გზით. შეიქმნას ქვანახშირის მრეწველობაში მძლავრი მექანიზებული და ტექნიკური მხრივ მოწინავე ბაზა ქვანახშირის გაუხვების, დახარისხებისა და დაბრიკეტების დარგში. უზრუნველყოფილ იქნას 1950 წელს მთელი იმ კოქსვადი ქვანახშირის მექანიკური გაუხვება, რომელიც გაუხვებულ უნდა იქნას (7 პროცენტზე მეტი ნაცრიანობისა), და მთელი ენერგეტიკული ქვანახშირისა, რომელიც გაუხვებულ უნდა იქნას (10 პროცენტზე მეტი ნაცრიანობისა), აგრეთვე ფართოდ დაინერგოს მურა ქვანახშირის გაუხვება. ამის შესაბამისად მექანიკური მეთოდით ქვანახშირის გაუხვება 1950 წელს აყვანილ იქნას 150 მილიონ ტონამდე, მათ შორის კოქსვადი ქვანახშირისა 53 მილიონ ტონამდე და ენერგეტიკული ქვანახშირისა 97 მილიონ ტონამდე. დახარისხებულ იქნას ენერგეტიკული ქვანახშირი. ფართოდ მოეწყოს ქვანახშირის ბრიკეტების წარმოება და მათი გამოშვება 1950 წელს აყვანილ იქნას 7,4 მილიონ ტონამდე.

ქვანახშირის მექანიკური გაუხვებისა და დაბრიკეტების გეგმის უზრუნველსაყოფად 1946-1950 წლებში აგებულ იქნას ქვანახშირის 271 გამაუხვებელი ფაბრიკა წლიურად 175 მილიონი ტონა ქვანახშირის სიმძლავრისა და აღდგენილ იქნას 6 ფაბრიკა 9 მილიონი ტონა სიმძლავრისა, აგებულ იქნას ქვანახშირის ბრიკეტის 26 ფაბრიკა წლიურად 10 მილიონი ტონა ბრიკეტის სიმძლავრისა, აგრეთვე შეიქმნას გამაუხვებელი მოწყობილობის მწარმოებელი სამანქანათმშენებლო ბაზა და აგებულ იქნას ორი ახალი მანქანათმშენებელი ქარხანა კუზბასსა და დონბასში.

დაწესდეს, რომ ყველა ახალ შახტს, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა, უნდა ჰქონდეს გამაუხვებელი დანადგარები და დამხარისხებლები, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ ცალკეულ შახტებს ან შახტების ჯგუფს. დაჩქარდეს ქვანახშირის გამაუხვებელი ფაბრიკების აღდგენა და მშენებლობა სამხრეთის კოქსქიმიურ ქარხნებში და გაჩაღდეს ქვანახშირის გამაუხვებელი ახალი ფაბრიკების მშენებლობა მეტალურგიულ ქარხნებში.

გამოკვლეულ იქნას ხუთწლედის მანძილზე ქვანახშირის 765 ველი 361 მილიონი ტონა მზა საპროექტო სიმძლავრის შახტებისა და კარიერების ასაგებად, მათ შორის ურალში 131 ველი, მოსკოვსახლო აუზში 135 ველი, ყარაგანდის აუზში 60 ველი, კუზნეცკის აუზში 60 ველი, დონეცის აუზში 140 ველი. ჩატარდეს ძიება და გამოკვლევა კოქსვადი ქვანახშირის ახალი რაიონებისა და საბადოებისა ურალში, დონეცის, კუზნეცკის, ყარაგანდისა და პეჩორის აუზებში.

7. გადიდდეს **ტორფის მოპოვება** 1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით 39 პროცენტით და ტორფის მოპოვება 1950 წელს აყვანილ იქნას 44,3 მილიონ ტონამდე. უზრუნველყოფილ იქნას ტორფის მოპოვების ფართო განვითარება სსრ კავშირის ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებში. უზრუნველყოფილ იქნას ტორფის მოპოვების, გაშრობის, აღების, მოსამზადებელი და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების შრომატევადი პროცესების მექანიზაცია. განვითარდეს ტორფის მოპოვების ყველაზე უფრო მექანიზებული მეთოდები: საფრეზერო, საბაგერო, ჰიდროტორფი; უზრუნველყოფილ იქნას ვიწროლიანდაგიანი ტრანსპორტის განვითარება.

გადიდდეს ტორფის ბრიკეტების წარმოება 1950 წელს 1,2 მილიონ ტონამდე. დაიწყოს ტორფის სათბობის მთელ წელიწადს წარმოება, რისთვისაც აგებულ იქნას ტორფის ხელოვნური გაუწყლოების ქარხანა.

უზრუნველყოფილ იქნას სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა ფართო განვითარება ტორფის ტექნოლოგიური და ქიმიური გადამუშავების წარმოების მექანიზაციისათვის.

8. ფართო მასშტაბით განვითარდეს მრეწველობის ახალი დარგი—**გაზის მრეწველობა** ბუნებრივი გაზის მოპოვებისა და ქვანახშირის, ტორფისა და ფიქალის გადამუშავების ბაზაზე. 1950 წელს ქვანახშირისა და ფიქალისაგან გაზის წარმოება აყვანილ იქნას 1,9 მილიარდ კუბურ მეტრამდე და ბუნებრივი გაზისა 8,4 მილიარდ კუბურ მეტრამდე. გაგრძელდეს მუშაობა მიწისქვეშა გაზიფიკაციის განსახორციელებლად და მიწისქვეშა გაზიფიკაციით მიღებული გაზის გამომუშავება 1950 წელს აყვანილ იქნას 920 მილიონ კუბურ მეტრამდე წლიურად. შეიქმნას ქვანახშირისა და ფიქალის თხევად სათბობად გადამუშავების მრეწველობა. 1950 წელს ქვანახშირისა და ფიქალისაგან თხევადი სათბობის გამომუშავება აყვანილ იქნას 900 ათას ტონამდე.

აღდგენილ და აგებულ იქნას ესტონეთის სს რესპუბლიკაში ფიქალის შახტები 9.4 მილიონი ტონის სიმძლავრისა და ლენინგრადის ოლქში 3 მილიონი ტონის სიმძლავრისა ფიქალისაგან გაზის მომპოვებელი მრეწველობის შესაქმნელად. გაიშალოს ქვანახშირის ჰიდრირების ორი ქარხნის და ბენზინის სინთეზის ერთი ქარხნის მშენებლობა. აგებულ და ამოშავებულ იქნას ხუთი წლის მანძილზე ფიქალ-გაზისა და ფიქალგადამმუშავებელი ქარხნები ესტონეთის სს რესპუბლიკასა და ლენინგრადის ოლქში. აგებულ იქნას გაზის ოთხი ახალი ქარხანა; აგებულ და ამოშავებულ იქნას გაზსადენები დაშავა-კიევი, კოხტლა-იარვე—ლენინგრადი; დამთავრდეს სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის მშენებლობა.

9. უზრუნველყოფილ იქნას **ნავთის მრეწველობის** სწრაფი აღდგენა და განვითარება, მოწეულ იქნას ნავთის ამოღებისა და გადამუშავების ომამდელი დონე 1949 წელს და ეს დონე გადაჭარბებულ იქნას 1950 წელს. განგრძობილ იქნას ნავთის ამოღებისა და გადამუშავების ყოველმხრივი განვითარება აღმოსავლეთ რაიონებში — ურალში, ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში, ვოლგისპირეთში, სახალინზე, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში, უზბეკეთის სს რესპუბლიკასა და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, აგრეთვე უკრაინის სს რესპუბლიკაში. მნიშვნელოვნად გადიდდეს აღმოსავლეთი რაიონების ხვედრითი წონა სსრ კავშირში ნავთის საერთო ამოღებაში. გათვალისწინებულ იქნას ნავთის ამოღების აღდგენის სწრაფი ტემპი კავკასიის რაიონებში—ბაქოში, გროზნოსა და კრასნოდარში.

გაჩაღდეს გეოლოგიურ-საძიებო მუშაობა და მოზადდეს ახალი ნავთიანი ფართობებისა, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ნავთის ამოღების დასახულ ზრდას და 1950 წლისათვის გარდამავალი გამოკვლეული სამრეწველო მარაგის სულ ცოტა ორი-სამი წლით წინასწარ შექმნას. გათვალისწინებულ იქნას საძიებო ბურღვის გადიდება და მისი ხვედრითი წონის ამაღლება სამბურღავ სამუშაოთა საერთო მოცულობაში.

განვითარდეს ჭაბურღილთა გათხრის ჩქარი მეთოდები, ტურბინული ბურღვა, რისთვისაც ხელსაწყო შეიარაღდეს ღრმა სატუმბავი ჭაბურღილები უფრო სრულყოფილი მოწყობილობით, დაინერგოს ექსპლოატაციის მეორადი მეთოდები. განხორციელდეს ყარეწებში ნავთის ამოღების, მოგროვებისა და გადატუმბვის გერმეტიზაცია.

განვითარდეს მაღალოქტანიანი საავიაციო ბენზინის წარმოება. გაუმჯობესდეს საავტომობილო ბენზინის, სატრაქტორო ნავთის, სადიზელო სათბობისა და ზეთების ხარისხი. გადიდდეს ნავთობისაგან ნავთის პროდუქტების გამოსავალი დანაკარგის შემცირებით და კატალიზური პროცესების და ბენზინისა და ტექნიკური ზეთების წარმოების სხვა უახლეს მეთოდთა ფართოდ დანერგვით.

ხუთი წლის მანძილზე აგებულ იქნას ოთხი ნავთისგადამმუშავებელი ქარხანა და 16 ნავთისგადამმუშავებელი დანადგარი. აღდგენილ იქნას 3 ნავთისგადამმუშავებელი ქარხანა სამხრეთის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო რაიონების ნავთპროდუქტებით უზრუნველსაყოფად. აგებულ იქნას ახალი მაგისტრალური ნავთსადენები. შეიქმნას გაზისა და თერმული მურის წარმოების დიდი ბაზა, ამასთან მნიშვნელოვნად გადიდდეს მურის ქარხნების სიმძლავრე.

აღდგენილ იქნას და ყოველმხრივ გაფართოვდეს ნავთის მოწყობილობის, ნავთის აპარატურისა და საზომი ხელსაწყოს წარმოება, რათა სავსებით უზრუნველყოფილ იქნას ნავთის მრეწველობის მოთხოვნილება.

10. **ელექტროფიკაციის** დარგში — დაჩქარდეს აღდგენა და მშენებლობა ელექტროსადგურებისა, რათა ელექტროსადგურთა სიმძლავრის ზრდა წინ უსწრებდეს სხვა დარგების აღდგენასა და განვითარებას. შეიქმნას ენერგოსისტემებში სიმძლავრეთა მუდმივი რეზერვი, რომელიც უზრუნველჰყოფს ელექტროენერგიის მაღალ ხარისხს, ამასთან არ იქნას დაშვებული ელექტროსადგურების მუშაობა შემცირებული სიხშირით. დაწესდეს ელექტროენერგიის გამომუშავება 1950 წლისათვის 1940 წლისაზე 70 პროცენტით მეტი.

სავსებით აღდგენილ იქნას ელექტროსადგურები იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, და სსრ კავშირის ყველა ელექტროსადგურში ხუთწლედის მანძილზე ამოშავებულ იქნას 11,7 მილიონი კილოვატი, ამასთან ელექტროსადგურთა დაწესებული სიმძლავრე 1950 წელს აყვანილ იქნას 22,4 მილიონ კილოვატამდე.

გაჩაღდეს ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ჰიდროელექტროენერგიის ხვედრითი წონის ყოველმხრივი გადიდება სახალხო მეურნეობის ხაზით ელექტროენერგიის გამომუშავებაში. ხუთწლედის მანძილზე ამუშავებულ იქნას ჰიდროელექტროსადგურები 2.300 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრისა.

აღდგენილ იქნას ექვსი ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგური. დამთავრდეს 30 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. დაწყებულ იქნას აგება და ამოქმედდეს რვა ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგი და დაიწყოს ხუთი ახალი დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. გაგრძელდეს საპროექტო-საძიებო სამუშაოები მდინარეებზე დნეპრსა და სირ-დარიაზე ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის მოსამზადებლად.

ფართოდ გაჩაღდეს ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდროელექტროსადგურების აღდგენისა და მშენებლობის სამუშაოები და ამ მიზნისათვის პირველ რიგში გამოყენებულ იქნას არსებული კაშხალები. უზრუნველყოფილ იქნას მცირე ჰიდროელექტროსადგურებში 1.000 ათასი კილოვატი სიმძლავრის ამოქმედება.

აღდგენილ იქნას მოსკოვის, დონბასის, დნეპრისპირეთის, კიევის, ხარკოვის, ლვოვის, ოდესის, ნიკოლაევის, სევასტოპოლის, ნოვოროსისკის, კრასნოდარის, გროზნოს, სტალინგრადის, ვორონეჟის, ბრიანსკის, კალინინის, მინსკის, ვილნიუსის, რიგის, ტალინისა და პეტროზავოდსკის თბოელექტროსადგურები და ელექტროქსელი.

დამთავრდეს მშენებლობა და ამოქმედდეს 37 რაიონული თბოელექტროსადგური, მათ შორის 21 თბოელექტროცენტრალი. ლიკვიდირებულ იქნას გარეუვეა ელექტროსადგურთა სიმძლავრეებსა და ელექტროენერგიის საჭიროებას შორის მოსკოვის, გორკის, ივანოვოს და იაროსლავლის ენერგოსისტემებში.

უზრუნველყოფილ იქნას მრეწველობაში ინდივიდუალური ავტომატიზებული ელექტროამძრავის ფართოდ დანერგვა და განხორციელდეს თანდათანობით გადასვლა ელექტროამძრავზე, რომელიც ორგანულად დაკავშირებულია სამუშაო მანქანების ამსრულებელ მექანიზმებთან. გაფართოვდეს ელექტროტექნოლოგიის გამოყენება მსუბუქი და ფერადი ლითონების, ლეგირებული ფოლადების, ქიმიური პროდუქტების წარმოებასა და ლითონდამუშავებაში.

მრეწველობის შემდგომ ელექტროფიკაციასთან ერთად მოხდეს გადასვლა რკინიგზის ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის უფრო ფართო ელექტროფიკაციაზე. უზრუნველყოფილ იქნას მასობრივი მშენებლობა სოფელ ადგილებში მცირე ჰიდროელექტროსადგურებისა, ქარსადგურებისა და თბოელექტროსადგურებისა, რომლებსაც ექნებათ ლოკომობილიანი და გაზგენერატორული ძრავები. განგრძობილ იქნას მუშაობა ქალაქების — მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, სვერდლოვსკის, დონის როსტოვის თბოფიკაციისათვის.

ფართოდ დაინერგოს ელექტროსადგურებში უახლესი ენერგეტიკული ტექნიკა—მაღალი წნევისა და მაღალი ტემპერატურის ორთქლის, უახლესი სათბოფიკაციო ტურბინებისა და უახლესი ტიპის ქვაბების, გენერატორებისა და მაღალვოლტიანი აპარატურის გამოყენება. ფართოდ გაჩაღდეს მუშაობა ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელთა საწარმოო პროცესების საავტომატიზაციოდ; პირველ რიგში მოხდეს ჰიდროელექტროსადგურთა მუშაობის სრული ავტომატიზაცია.

ჩატარდეს სამეცნიერო-ექსპერიმენტული სამუშაოები და პრაქტიკულად განხორციელდეს ელექტროენერგიის მაღალი ძაბვის მუდმივი დენით გადაცემა დიდ მანძილებზე.

11. **მანქანათმშენებლობის** დარგში გადიდდეს მოწყობილობის გამოშვება 1950 წელს ერთიორად ომამდელ დონესთან შედარებით. გათვალისწინებულ იქნას პირველ რიგში მეტალურგიული, ენერგეტიკული, ქვანახშირის, ნავთის მოწყობილობის, ელექტრომანქანათმშენებლობის, რკინიგზების მოძრავი შემადგენლობის, ავტომობილების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სააღმშენებლო ინდუსტრიის მოწყობილობის, გეოლოგიურ-საძიებო მოწყობილობის, სპეციალური და აგრეგატული კლიტეების, სამსხმელო მოწყობილობის, ქიმიური მრეწველობის ხელსაწყოს და მოწყობილობის წარმოების აღდგენა და განვითარება.

ხუთწლედის დასასრულისათვის საწარმოო სიმძლავრეებში აყვანილ იქნას —რკინიგზის ლოკომოტივებისა 4 ათასამდე და ვაგონებისა 200 ათასამდე (ორღერძიანი გამოანგარიშებით), მეტალურგიული მოწყობილობისა 131 ათას ტონამდე, ორთქლის ტურბინებისა 3.770 ათას კილოვატამდე, ორთქლის ქვაბებისა გაზურების ზედაპირის 540 ათას კვადრატულ მეტრამდე, ტრაქტორებისა 133 ათას ცალამდე, ლითონსაჭრელი ჩარხებისა 94,8 ათას ცალამდე, ავტომობილებისა 750 ათას ცალამდე, მოტორებისა 800 ათას ცალამდე, მათ შორის ასკილოვატიანზე მეტი სიმძლავრის მოტორებისა 10 ათას ცალამდე.

უზრუნველყოფილ იქნას ახალი, ტექნიკურად უფრო სრულყოფილი სახის მაღალი ნაყოფიერების მანქანები: მრავალშპინდელიანი საავრეგატო ჩარხების, ავტომატ ჩარხების, მძლავრი სატვიფრავი და საბედი წნეხების, საბედი მანქანების, მძლავრი ელექტროეკსკავატორების, წარმოების ავტომატური მართვისა და კონტროლის ხელსაწყოებისა და თანამედროვე მაცივარი დანადგარების ათვისება. ათვისებულ და განვითარებულ იქნას უახლესი ტიპის ელექტრომანქანების, ტრანსფორმატორების, კონდენსატორების, მაღალი სიხშირის აპარატურის, ავტომატური სატელეფონო სადგურების, ტელეგრაფის აპარატურის, რადიოგადამცემების, რადიოლამპების, ფოტოელემენტების, კენოტრონების, განმანაწილებელი მოწყობილობის, ვერცხლისწყლის გამმართავების, შემდუღებელი მანქანების, დაცვისა და ავტომატიკის რელეების, მაღალი ძაბვის აპარატურის წარმოება.

ახალი ტიპის მანქანების წარმოების აღდგენისა და ათვისებისას უზრუნველყოფილ იქნას დეტალებისა და კვანძების სტანდარტიზაცია.

ფართოდ გამოყენებულ იქნას წარმოების მოწინავე მეთოდები მანქანათმშენებლობაში, განსაკუთრებით მასობრივი ნაკადური წარმოების მეთოდები: დაინერგოს ავტომატური ნაკადური ხაზები და აგრეგატული ჩარხები, სხმა წნევით და კოკილში, ავტომატური შედუღება, შტამპშემდუღებელი კონსტრუქციები, მაღალი სიხშირის დენით წრთობა, ელექტროგახურება, ტვიფრვა სწრაფმოძრავი წნეხებით, ზეჩქარი ღარვა.

აღდგენილ იქნას და განვითარდეს მძიმე მანქანათმშენებლობის მსხვილი ბაზა დონბასსა და ურალში. 1946-1950 წლებში გამოშვებულ იქნას 405 ათასი ტონა მეტალურგიული მოწყობილობა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ბლუმინგების, რელს-კოჭიანი დაზგების, მაღალი წარმადობის წვრილხარისხური და მავთულის მექანიზებული დაზგების და განუწყვეტელი გაგლინვის თხელფურცლოვანი დაზგების გამოშვება. აღდგენილ იქნას მძიმე მანქანათმშენებლობის ორი ქარხანა დონბასში და დამთავრდეს მძიმე მანქანათმშენებლობის ახალი ქარხნის მშენებლობა სამხრეთ ურალში. დაიწყოს სამტვრევ-საფქვავი მოწყობილობის ახალი ქარხნის მშენებლობა დასავლეთ ციმბირში.

1946-1950 წლებში დამზადდეს 9.030 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ორთქლის ტურბინები. ამასთან მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ორთქლის მაღალი წნევისა და ტემპერატურის ტურბინებისა და ქვაბების, აგრეთვე საშუალო და მცირე სიმძლავრის ჰიდროტურბინების გამოშვება.

აღდგენილ იქნას ენერგეტიკული მოწყობილობის წარმოების ოთხი ქარხანა. აშენდეს საშუალო და მცირე სიმძლავრის ორთქლის ტურბინების ახა-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(გაგრძელება)

ლი ქარხანა. დამთავრდეს ჰიდროტურბინების ორი ქარხნის მშენებლობა. აღდგენილ იქნას ერთი საქვაბე ქარხანა და ამოქმედდეს სამი ახალი საქვაბე ქარხანა.

შეიქმნას სსრ კავშირში ორთქლმავალმშენებლობისა და ვაგონმშენებლობის ძლავრი საწარმოო ბაზა. 1950 წელს აყვანილ იქნას სამაგისტრალო ორთქლმავალთა გამოშვება 2.200-მდე, სამაგისტრალო თბომავალთა გამოშვება 300-მდე, სამაგისტრალო ელექტრომავალთა გამოშვება 220-მდე და ვაგონებისა (ორღერძიანი გამოთანაბარი შეებით) 150 ათასამდე; ყოველმხრივ განვითარდეს თვითგანტვირთვადი ვაგონების გამოშვება. აღდგენილ იქნას სამაგისტრალო ორთქლმავლების წარმოება სამ ორთქლმავალთა გამოშვება 2.200-მდე, სამაგისტრალო თბომავალთა გამოშთქლმავლების, თბომავლების, სამრეწველო ორთქლმავლებისა და ელმავლების წარმოება ოთხ მანქანათმშენებელ ქარხანაში. ამოქმედდეს ახალი ორთქლმავალმშენებელი ქარხანა. აღდგენილ იქნას ოთხი ვაგონმშენებელი ქარხანა. დამთავრდეს სამი ახალი ვაგონმშენებელი ქარხნის მშენებლობა. განახლდეს ვაგონმშენებლობა ჩრდილოეთ ურალში.

1950 წელს ლითონსატრელი ჩარხების წარმოება აყვანილ იქნას 74 ათას ცალამდე. განვითარდეს აგრეგატული, სპეციალური ჩარხების, აგრეთვე ავტომატებისა და ნახევრადავტომატების წარმოება. 12,3 ათას ცალამდე გადიდდეს აგრეგატული და სპეციალური ჩარხების გამოშვება 1950 წელს. ომამდელ დონესთან შედარებით ორნახევარჯერ გადიდდეს სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობის წარმოება, უწინარეს ყოვლისა მძიმე წნეხების, უროებისა და საჭედი მანქანების გამოშვებით. გადიდდეს ნორმალიზებული ინსტრუმენტისა და აბრაზივების გამოშვება. აღდგენილ იქნას მანქანათმშენებლობის 18 ქარხანა, აშენდეს და ამოქმედდეს მძიმე ჩარხების წარმოების ორი ახალი ქარხანა და აგრეგატული და სპეციალური ჩარხების სამი ქარხანა.

1950 წლისათვის ელექტრომოწყობილობის წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით გადიდდეს 2,5-ჯერ. საავიაციო უზრუნველყოფილ იქნას მანქანათმშენებლობა ყველა სახის ელექტრომოწყობილობით, აგრეთვე ქვანახშირის მრეწველობა. ნავთის მრეწველობა და მეტალურგია დიდი ელექტრომოტორებით, აფეთქების მხრივ უსაშიშრო მოტორებით, ცვალებადი დენის ნორმალური მოტორებითა და ელექტროაპარატურით. უზრუნველყოფილ იქნას მაღალვოლტიანი აპარატურით რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაციის პროგრამა. ყოველმხრივ განვითარდეს ავტომატური კონტროლისა და მართვის აპარატურის წარმოება. აღდგენილ იქნას და დამთავრდეს ელექტრომანქანათმშენებლობის 15 ქარხანა. აშენდეს და ამოქმედდეს ტურბინის გენერატორთა წარმოების ქარხანა, წევისა და საამწეო მოწყობილობის წარმოების ქარხანა, ორი კაბელის ქარხანა, ელექტრონსხივის მილაკების ქარხანა, თბომავლის ელექტრომოწყობილობის ქარხანა.

1950 წელს ავტომობილების გამოშვება აყვანილ იქნას 500 ათას ცალამდე. დაიწყოს ახალი ტიპის ავტომანქანების: გაზრდილი ტვირთმზიდაობის სატვირთო ავტომობილებისა და უფრო მარჯვე და ეკონომიური მსუბუქი ავტომანქანების მასობრივი გამოშვება. აღდგენილ იქნას გაზგენერატორული და გაზბალონიანი ავტომობილების წარმოება. მოეწყოს დიზელმოტორიან სატვირთო ავტომობილთა და ავტოთვითდამცლელთა მასობრივი წარმოება. დამთავრდეს სამი საავტომობილო ქარხნისა და მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხნის მშენებლობა. აშენდეს სამი ახალი საავტომობილო ქარხანა, გაფართოვდეს სამი მოქმედი საავტომობილო ქარხანა. დამთავრდეს ოთხი ავტოსაამწყობო ქარხნის მშენებლობა.

გადიდდეს ტრაქტორმშენებლობა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ურომლისოდაც შეუძლებელია სოფლის მეურნეობის სწრაფი აღდგენა და განვითარება. აღდგენილ იქნას ტრაქტორმშენებლობის ქარხნები და შეიქმნას ტრაქტორების წარმოების ახალი ბაზები იმ მიზნით, რომ ტრაქტორების გამოშვება პირველ რიგში სოფლის მეურნეობისათვის 1950 წელს აყვანილ იქნას 112 ათასამდე. მოეწყოს დიზელმოტორიანი და გაზგენერატორულდანადგარიანი ტრაქტორების მასობრივი გამოშვება. აღდგენილ იქნას სატრაქტორო ქარხანა, დამთავრდეს სამი ახალი სატრაქტორო ქარხნის მშენებლობა, მოეწყოს სატრაქტორო ქარხანა ბელორუსიის სს რესპუბლიკაში. აღდგენილ იქნას ტრაქტორმშენებლობა ორ ქარხანაში, რომლებიც თავისუფლდებიან სპეციალური დაკვეთებისაგან.

აღდგენილ იქნას და განვითარდეს ისეთი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება, როგორიცაა — ტრაქტორის გუთნები, სათესი მანქანები, კულტივატორები, დისკოიანი და სახნისიანი საოშები, კომბაინები და მარცვლის ასალები სხვა მანქანები, მარცვალსაწმენდი მანქანები, ტექნიკური კულტურებისა და ბალახის სათესლე ნაკვეთების მოსავლის ასაღები მანქანები, სათიბი მანქანები, საკვების დასამზადებელი და საკვების გადამმუშავებელი მანქანები, ცხვრის მექანიკურად საპარსი და ძროხის საწველი მანქანები, სეპარატორები, მაცივრები და სხვა სარძიო ინვენტარი, აგრეთვე მეცხოველეობის ფერმათა წყალმომარაგების მოწყობილობა, საკოლმეურნეო წისქვილების მოწყობილობა და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის აპარატურა. აღდგენილ იქნას სასოფლო-სამეურნეო მანქანების ბრძოლის ცხრა ქარხანა. დამთავრდეს და ამოქმედდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხუთი ქარხანა და ერთი კომბაინების წარმოების ქარხანა.

სავსებით აღდგენილ იქნას გემთსაშენი ქარხნები და მათთან კოოპერირებული საწარმოები, პირველ რიგში ლენინგრადისა და ნიკოლაევის გემთსაშენი ქარხნები. აშენდეს ახალი გემთსაშენი ქარხნები. აღდგენილ და გადიდებულ იქნას სამდინარო და საზღვაო გემთსაშენ საწარმოთა სიმძლავრე.

გაფართოვდეს კომპრესორებისა და მაღალი წნევის ჭიმური აპარატურის წარმოება. მრეწველობაში ჟანგბადის ფართოდ დანერგვისა და ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციის მიზნით მოეწყოს ძლავრი კომპრესორებისა და დანადგარების წარმოება ჟანგბადის გამოსამუშავებლად. სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში დამთავრდეს ქარხნების მშენებლობა და გაფართოება ქიმიური მოწყობილობის: ცენტრიდანული ტუმბოების, კომპრესორებისა და ტურბინკომპრესორების გამოსაშვებად.

ომამდელ დონესთან შედარებით ერთიოთხად გადიდდეს საფეიქრო მანქანების წარმოება. ათვისებულ იქნას ახალი, ტექნიკურად სრულყოფილი მოწყობილობის—სწრაფი საფთილავი, სწრაფმომძრავი საქსელავი მანქანების გამოშვება. განვითარებულ იქნას მაღალი გაჭიმვის ვატერებისა და ავტომატური საქსოვი დაზგების, ფეხსაცმლისა და სამკერვალო მრეწველობის მანქანების წარმოება. განვითარებულ იქნას კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობა, განსაკუთრებით ხორც-რძისა, შაქრისა და საკონსერვო მრეწველობისათვის, აგრეთვე წისქვილ-ელევატორის მოწყობილობის წარმოება. ათვისებულ იქნას უახლესი ტიპების მოწყობილობის—ამონიაკის კომპრესორების, სწრაფსასყინავი მანქანების, სახმობი და საიქსტრაქციო დანადგარების, ვაკუუმ-აპარატებისა და საკონსერვო ხაზების წარმოება.

უზრუნველყოფილ იქნას ექსკავატორების, უახლესი სამშენებლო და საგზაო მანქანების, საამწეო-სატრანსპორტო მოწყობილობისა და დასატვირთავ-განსატვირთავი მანქანების, აგრეთვე შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის სხვადასხვა მოწყობილობის წარმოება.

ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისა და მართვის ავტომატიზაციისათვის ყოველმხრივ განვითარდეს ხელსაწყოთმშენებლობა და 1950 წელს 1940 წელთან შედარებით შვიდჯერ გადიდდეს ოპტიკურ-მექანიკური და ელექტროსაზომ ხელსაწყოთა წარმოება. მოეწყოს ელექტრონული მიკროსკოპების წარმოება სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში მათი დანერგვისათვის. უზრუნველყოფილ იქნას იმ ხელსაწყოთა წარმოება, რომლებიც საჭიროა ძიების გეოფიზიკური (მაგნიტური, ელექტრონული, სეისმური) მეთოდებისათვის, და ფართოდ დაინერგოს ისინი გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებში სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების ძიებისა და კვლევის დაჩქარებლად და ეფექტიანობის ამაღლებლად. ავიაციის, ნაოსნობისა და სოფლის მეურნეობის საჭიროებათა უზრუნველსაყოფად განვითარებულ იქნას იმ ოპტიკურ ხელსაწყოთა წარმოება, რომლებიც საჭიროა ამინდის წინასწარ შესატყობად.

ათვისებულ და განვითარებულ იქნას უახლესი ტიპის მიკროსკოპების, სპექტრალური აპარატურის, კინოსაპროექციო და კინოგადამღები აპარატურის, ფოტოაპარატების, ბინოკლების მასობრივი წარმოება და ამისათვის გამოყენებულ იქნას უახლესი მიღწევები ოპტიკური ტექნიკის დარგში. აღდგენილ და განვითარებულ იქნას ტექნიკურად სრულყოფილი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მოტოციკლების, ველოსიპედების, სანადირო თოფების, რადიომიმღებების, საათებისა და პატეფონების მასობრივი წარმოება. მოეწყოს თანამედროვე მიმღებთა გამოშვება ტელევიზიისათვის. დიდი მასშტაბებით მოეწყოს რეფრიჟერატორების წარმოება.

12. **ქიმიურ მრეწველობაში** 1950 წელს გადაჭარბებულ იქნას წარმოების ომამდელი დონე ერთნახევარჯერ. აღდგენილ იქნას ქიმიური მრეწველობა იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, და უწინარეს ყოვლისა აზოტის, ფოსფოროვანი სასუქების, სოდოვანი პროდუქტებისა და საღებავების მრეწველობა. აღდგენილ იქნას მინერალური სასუქების წარმოება და 1950 წელს მათი გამოშვების ომამდელი დონე გადაჭარბებულ იქნას ფოსფატოვანი სასუქების დარგში ერთიორად, აზოტოვანი სასუქებისა 1,8-ჯერ და კალიუმის სასუქების დარგში 1,3-ჯერ.

შეიქმნას ორგანული სინთეზის ახალი დარგები ქვანახშირის და ნავთგადამუშავების თანანაწარმი პროდუქტების გადამუშავების ბაზაზე.

უზრუნველყოფილ იქნას ქიმიური ნახევარპროდუქტების ფართო ასორტიმენტის გამოშვება პლასტიკური მასების მრეწველობისათვის, ანილინსაღებავთა, ლაქ-საღებავთა, ფარმაცევტული მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის. მოეწყოს პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისის ახალი სახეების წარმოება. გაფართოვდეს სინთეზურ საღებავთა წარმოება და ომამდელ დონესთან შედარებით გაუმჯობესებულ იქნას მათი ასორტიმენტი ყველაზე ხარისხოვანი და მტკიცე საღებავების წარმოების გადიდებით.

ამუშავებულ იქნას სიმძლავრენი კალცინირებული სოდის დარგში 813 ათასი ტონის რაოდენობით, კაუსტიკური სოდისა 278 ათასი ტონის, სუპერფოსფატისა 2.720 ათასი ტონის რაოდენობით. აღდგენილ იქნას სამი სოდის ქარხანა, დამთავრდეს სოდის ახალი ქარხნის მშენებლობა ურალში და დაწყებულ იქნას სოდის ახალი ქარხნის მშენებლობა. აშენდეს და ამუშავდეს ორი ანილინ-საღებავთა ქარხანა, ორი ლაქ-საღებავთა ქარხანა და სამი პლასტმასის ქარხანა.

მინერალურ სასუქთა არარაციონალური და შორი გადაზიდვის შემცირების მიზნით აშენდეს და ამუშავდეს ყარა-ტაუს ფოსფორიტის საბადოთა ბაზაზე სუპერფოსფატის ახალი ქარხნები. ომამდელი სიმძლავრით აღდგენილ იქნას სამი აზოტის ქარხანა და განხორციელდეს ახალი ქარხნების მშენებლობა.

ქიმიური მრეწველობის განვითარება დაიყრდნოს ახალი ტექნიკის, წარმოების განუწყვეტელი მეთოდების, წარმოების მართვის ავტომატიკის დანერგვას და განხორციელდეს ქიმიური პროცესების შემდგომი ინტენსიფიკაცია აზოტის, გოგირდმჟავის, სოდისა და ანილინ-საღებავთა მრეწველობაში.

13. **რეზინის მრეწველობაში** 1950 წელს სინთეზური კაუჩუკის წარმოება გადიდებულ იქნას ერთიორად, საავტომობილო შინებისა ერთისამად და რეზინის ფეხსაცმლისა 1,3-ჯერ ომამდელ დონესთან შედარებით. სინთეზური კაუჩუკის მრეწველობაში ფართოდ განვითარდეს არასაკვები ნედლეულის გადამუშავება და 1950 წელს არასაკვები ნედლეულისაგან კაუჩუკის გამოშვება გადიდებულ იქნას კაუჩუკის მთელი წარმოების 38 პროცენტამდე. რეზინის რეგენერატორთა წარმოება 1950 წელს აყვანილ იქნას 56 ათას ტონამდე. დიდი ოდენობით მოეწყოს ნატურალური კაუჩუკის წარმოება სსრ კავშირში.

რეზინის მრეწველობა განვითარებულ იქნას ნედლეულის ახალი სახეებისა და ახალი ტექნიკის, საავტომობილო შინების წარმოებაში მართვის ავტომატიზაციის, სინთეზური კაუჩუკის მიღების პროცესების ინტენსიფიკაციის დანერგვის საფუძველზე და ყოველმხრივ გაფართოვდეს კაუჩუკის, საავტომობილო შინებისა და რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა წარმოების შრომატევადი პროცესების მექანიზაცია.

14. იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, სახალხო მეურნეობის სრული აღდგენისა და სსრ კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში შემდგომი მშენებლობის განხორციელების ამოცანების შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნას **სამშენებლო მასალების მრეწველობის** სწრაფი აღდგენა და განვითარება.

ხუთი წლის პერიოდში საგრძნობად გადაჭარბებულ იქნას უმნიშვნელოვანესი სამშენებლო მასალების: ცემენტის, მინის, შიფერის, საკედლე და სახურავი მასალების წარმოების ომამდელი დონე, როგორც დანგრეული ქარხნების აღდგენის გზით, ისე ახალ საწარმოთა მოწყობით. ომამდელ დონესთან შედარებით ცემენტის წარმოება 1950 წელს გადიდებულ იქნას 1,8-ჯერ, მინისა 1,8-ჯერ, შიფერისა ერთიორად, კრამიტისა ერთიოთხად.

შეიქმნას მრეწველობის ახალი დარგი—ასაწყობი საცხოვრებელი სახლებისა და ხის, თაბაშირის, აზბესტცემენტისა და სხვა მასალებისაგან ნაკეთები სტანდარტული დეტალების საფაბრიკო-საქარხნო წარმოება. აღდგენილ იქნას და ახლად აშენდეს 9,4 მილიონი ტონა სიმძლავრის ცემენტის ქარხნები, ფანჯრის მინის დამამზადებელი ქარხნები 40,0 მილიონი კვადრატული მეტრი მინის რაოდენობით, შიფერის ქარხნები 332 მილიონი ფილის რაოდენობით, ასაწყობი საცხოვრებელი სახლების დამამზადებელი ქარხნები, რომლებიც ყოველწლიურად გამოუშვებენ 4,6 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის სახლებს, სახურავ მასალათა ქარხნები 3.250 ათასი რულონი რუბეროიდისა და პერგამინის, 2.700 ათასი რულონი ტოლის სიმძლავრისა, სათბობი ქვაბების წარმოების ქარხნები 377 ათასი კვადრატული მეტრი სიმძლავრისა და რადიატორებისა — 6,2 მილიონი კვადრატული მეტრის გამოშვებით. გაფართოვდეს თერმოსაიზოლაციო მასალების—მინერალური მატყლისა და ხის ბოჭკოს ფილების, აგრეთვე ასბესტცემენტის მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება.

სამშენებლო მასალების წარმოების დადგენილი პროგრამის შესასრულებლად ჩატარდეს შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, განსაკუთრებით ცემენტის მრეწველობაში, ელექტროქიმიკატორების, დიდტვირთიანი თვითგანტვირთვადი ვაგონეტების, გრეიფერული ამწეების დანერგვის გზით. ფართოდ დაინერგოს ახალი ტექნიკა, კერძოდ ქვანახშირის ერთდროული გაშრობისა და დაფქვის მეთოდი, მაღალნაყოფიერი მბრუნავი ღუმელები კლინკერის გამოსაწვავად, ფურცლოვანი მინის გამოყვანა შუბლა-ჩარხის გამოუყენებლად, მინის ტრანსპორტირებისა და ჭრის ნაკადური მეთოდი.

15. **სატყეო მრეწველობის** დარგში—1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით მაქნისი მერქნის გამოზიდვა გადიდებულ იქნას 59 პროცენტით, დახერხილ მასალათა წარმოება 14 პროცენტით.

ხე-ტყის ხერხვის დარგში ამუშავებულ იქნას 6 მილიონი კუბმეტრი ხე-ტყის მასალის საწარმოო სიმძლავრენი, ფანერის გამომუშავების დარგში 300 ათასი კუბმეტრისა და ასანთის გამომუშავების დარგში 7.500 მილიონი კოლოფის საწარმოო სიმძლავრენი. აღდგენილ იქნას ხის დამმუშავებელი მრეწველობა, განსაკუთრებით ავეჯის წარმოება.

გადიდდეს ხე-ტყის დამზადების საწარმოო ბაზა და მერქანი გამოზიდულ იქნას უპირატესად დასაცურებლად მდინარეების სევერნაია დვინისა და მისი შენაკადების, პეჩორის, კამის, ვიატკის, კილმეზის, უნჟის, ვეტლუგისა და ბელაიას აუზებში, აგრეთვე გადიდდეს ხე-ტყის დამზადება დასავლეთ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ხუთი წლის განმავლობაში სატყეო მრეწველობის ტყემრეწმეურნეობებში, უმთავრესად ჩრდილოეთის, ჩრდილო-დასავლეთისა და ურალის (მდინარე კამის აუზი) რაიონებში გაყვანილ იქნას 17.500 კილომეტრი ხე-ტყის საზიდავი გზები მექანიკური წევით, მათ შორის 6.500 კილომეტრი ვიწროლანდაგიანი, 2.500 კილომეტრი სატრაქტორო და 8.500 კილომეტრი საავტომობილო გზები. გადიდდეს რაციონალიზებული გზების მშენებლობა. ხუთწლედის ბოლოს შეშით თბობაზე გადაყვანილ იქნას ხე-ტყის გამოზიდვაზე მომუშავე ავტოსატრაქტორო პარკის სულ მცირე 70 პროცენტი. გადიდდეს ხე-ტყის დამზადებაზე მუდმივი მუშების კადრი და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას მათ მიერ სამუშაოთა საერთო მოცულობის სულ მცირე 75 პროცენტის შესრულება.

ხე-ტყის დამზადება და გამოზიდვა, სადაც ამჟამად ხელით შრომა სჭარბობს, გადაიქცეს განვითარებულ მექანიზებულ მრეწველობად, მუშათა მუდმივი და კვალიფიციური კადრებით. ამ მიზნით უზრუნველყოფილ იქნას სატყეო მრეწველობაში ელექტროხერხების მასობრივი გამოყენება ხე-ტყის დასამზადებლად და სათრევი ტრაქტორების გამოყენება ხე-ტყის გამოსაზიდად. ხე-ტყის დამზადებისა და მიზიდვის მექანიზაციის დონე აყვანილ იქნას სამუშაოთა საერთო მოცულობის 75 პროცენტამდე და ხე-ტყის გამოზიდვის მექანიზაცია 55 პროცენტამდე. ფართოდ მექანიზებულ იქნას დაცურების შრომატევადი პროცესები, დატვირთვა და გადმოტვირთვა. დამზადდეს და გადაეცეს სატყეო მრეწველობას 40 ათასი ელექტროხერხი, 7.500 სათრევი ტრაქტორი, 4.500 ტრაქტორი ხე-ტყის გამოსაზიდად, 470 ვიწრო ლიანდაგის პლატფორმიანი ორთქლმავალი, 14 ათასი მისაბმელიანი ავტომობილი, აგრეთვე საჭირო რაოდენობის ბულდოზერები. მექანიზმების ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად განვითარდეს სარემონტო ბაზა.

განვითარდეს ჰიდროლიზური მრეწველობა; ჰიდროლიზური სპირტის გამოშვება 1950 წელს რვაჯერ გადიდდეს ომამდელ დონესთან შედარებით. სულფიტსპირტისა და ჰიდროლიზურ მრეწველობაში აგებულ იქნას 7 მილიონი დეკალიტრი სპირტის სიმძლავრის ახალი ქარხნები და ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ხე-ტყის ხერხვისა და ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების ნარჩენების კომპლექსური გადამუშავება სპირტად, ცილოვან საღუარად, სხმულ სამაგრებად და სხვა ქიმიურ პროდუქტებად.

შეიქმნას მსხვილი სატყეო-ქიმიური მრეწველობა, პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნას ძრის მჟავას, აცეტატურ გამხსნელთა, კანიფოლისა და სკიპიდარის წარმოების გადიდება.

16. 1948 წელს აღდგენილ იქნას და კიდევ უფრო განვითარდეს **ქაღალდის მრეწველობა;** 1950 წელს ქაღალდის წარმოება გადიდდეს 65 პროცენტით ომამდელ დონესთან შედარებით, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას გათეთრებული ხარისხობრივი ქაღალდის გამოშვების უფრო მნიშვნელოვანი ზრდა. საჭიროებით უზრუნველყოფილ იქნას მრეწველობის საჭიროება ტექნიკური ხარისხის ქაღალდით. მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ტარა-შესაფუთავ, პერგამენტის ქაღალდისა და ქაღალდისაგან ფართო მოხმარების ნაკეთობათა წარმოება. ყოველმხრივ განვითარდეს ვისკოზური ცელულოზის წარმოება და სავსებით უზრუნველყოფილ იქნას ხელოვნური ბოჭკოს მრეწველობის საჭიროება ამ მხრივ.

უზრუნველყოფილ იქნას ახალი, ტექნიკურად სრულყოფილი მოწყობილობის: სპეციალური დამფხვნელი აპარატურის დანერგვა, რომელიც უზრუნველჰყოფს მაღალ ნაყოფიერებას ელექტროენერგიის მინიმალური ხარჯვით; შემწოვი ლილვების დადგმა ქაღალდის საკეთებელ მანქანებზე; სწრაფი ქაღალდსაკეთებელი მანქანების გადაყვანა მრავალმოტორიან ამძრავებზე; უახლესი აპარატურის გამოყენება მერქნისათვის ქერქის შემოსაცლელად; მაღალნაყოფიერი ღუმელების დადგმა თუთქების რეგენერაციისათვის; ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების პროცესის ავტომატიზაცია.

17. აღდგენილ და გადაჭარბებულ იქნას **საფეიქრო** და **მსუბუქი მრეწველობის** დარგების წარმოების ომამდელი დონე.

აღდგენილ იქნას და განვითარდეს ხელოვნური აბრეშუმისა და შტაპელური ბოჭკოს მრეწველობა. ხელოვნური აბრეშუმის წარმოება 1950 წელს 4,6-ჯერ გადიდდეს ომამდელ დონესთან შედარებით, ხოლო შტაპელური ბოჭკოს წარმოება 9,6-ჯერ.

გადაჭრით გაუმჯობესდეს ქსოვილთა, სამკერვალო, სატრიკოტაჟო ნაკეთობათა, ფეხსაცმლის ასორტიმენტი და მათი გამოყვანა; გადიდდეს გაუმჯობესებული, განსაკუთრებით მკვიდრად შეღებილი საკაბე და საკოსტიუმე ქსოვილების, აგრეთვე მერსერიზებული, ბუსუსიანი, ჟაკარდული და ჭრელი ქსოვილების გამოშვება.

ხუთი წლის განმავლობაში საფეიქრო საწარმოებში ამუშავებულ იქნას სიმძლავრენი 2.860 ათასი სართავი თითისტარის რაოდენობით, ხელოვნური აბრეშუმის დარგში—102 ათასი ტონის რაოდენობით, აგრეთვე ამუშავებულ იქნას სიმძლავრენი 100 მილიონი წყვილი ფეხსაცმლისა და 345 მილიონი წყვილი წინდის გამოსაშვებად. აღდგენილ იქნას საფეიქრო, წინდა-ტრიკოტაჟის, ტყავეულის, ფეხსაცმლის საწარმონი, აგრეთვე ბამბის, სელის, ქერელისა და მატყლის პირველადი დამუშავების ქარხნები იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს.

განგრძობილ იქნას ომამდე დაწყებული ბამბეულის მრეწველობის განვითარება ცომბორსა და შუა აზიაში. ხუთი წლის განმავლობაში აშენდეს და ამუშავდეს ბამბეულის კომბინატები ნოვოსიბირსკში, ასტრახანსა და საქართველოს სს რესპუბლიკაში, ბამბეულის ფაბრიკები და ჩრდილოეთ ყაზახეთში და ბამბეულის კომბინატის მეორე რიგი აღმოსავლეთ ციმბირში. დამთავრდეს ბამბეულის კომბინატების მშენებლობა ტაშკენტში, სტალინაბადსა და ფერგანში, აგრეთვე ბამბეულის ფაბრიკებისა უფასა და ჩელიაბინსკში. დაწყებულ იქნას ბამბეულის ფაბრიკის მშენებლობა კუზბასში.

მთლიანად აღდგენილ იქნას ხელოვნური აბრეშუმის ექვსი ფაბრიკა და აშენდეს სამი ახალი ფაბრიკა. დამთავრდეს ხელოვნური ბოჭკოს ოთხი ფაბრიკის მშენებლობა.

აშენდეს და ამუშავდეს სალანჩე რეზინის ქარხანა დასავლეთ ციმბირში, წინდის ქარხნები სვერდლოვსკსა და ტამბოვში; აღდგენილ იქნას ფეხსაცმლის ფაბრიკები ლენინგრადსა და როსტოვში, ოსტაშკოვის ტყავეულის ქარხანა, კიევისა და კალინინის სალანჩე რეზინის ქარხნები, კონსტანტინოვკის ბოთლის ქარხანა, ვიტებსკის წინდის ფაბრიკა და პოლტავის სართავი ფაბრიკა.

უზრუნველყოფილ იქნას ახალი ტექნიკურად სრულყოფილი მოწყობილობის: ერთპროცესიანი საპენტავი, ჩქარი საფთილავი მანქანების, დიდრონი ნაჭედობის ვატერების, საპენტავი ავტომატების, ჩქარი საქსელავი და საშლიხტავი, გასაყრელ-საძახავი მანქანების, ფართო ავტომატური საქსოვი დაზგების, ფოტომექანიკური გრავირებისა და სათეთრებელი აგრეგატების დანერგვა საფეიქრო მრეწველობაში, აგრეთვე კოტონ-მანქანების, ცხელი ვულკანიზაციის წნეხების, ავტომატური და ნახევრადავტომატური მოწყობილობის დანერგვა მსუბუქ მრეწველობაში. ყოველმხრივ განვითარდეს სინთეზური მთრიმლავებისა და სრულფასოვანი ხელოვნური ტყავების წარმოება. განმტკიცდეს სარემონტო ბაზა და 1946 წლიდან აღდგენილ იქნას მოწყობილობის ნორმალური რემონტი საფეიქრო და მსუბუქ მრეწველობაში.

18. უზრუნველყოფილ იქნას **კვების მრეწველობის** ყველა დარგის სწრაფი აღდგენა და განვითარება; აღდგენილ იქნას პროდუქციის ომამდელი ასორტიმენტი და გაუმჯობესდეს მისი ხარისხი.

1950 წელს გადაჭარბებულ იქნას ხორცპროდუქტების, ერბო-კარაქისა და მცენარეული ზეთის, შაქრის, საკონდიტრო ნაკეთობათა და კვების სხვა პროდუქტების წარმოების ომამდელი დონე.

აღდგენილ იქნას 1947 წელს თევზჭერისა და გადამუშავების ომამდელი დონე.

1950 წელს თევზის ჭერა გადიდდეს ერთნახევარჯერ, ნედლად ნაყინი თევზის გამოშვება 1,8-ჯერ და ზურგიელისა ერთისამად ომამდელ დონესთან შედარებით. ფართოდ განვითარდეს მეთევზეობა ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის აუზებში, განსაკუთრებით სამხრეთ სახალინის, კურილის კუნძულებისა და კამჩატკის რაიონებში. გადაკეთდეს თევზის მეურნეობა სამხრეთ სახალინზე თევზჭერის თანამედროვე ტექნიკის დანერგვისა და არსებულ თევზის გადამამუშავებელ საწარმოთა რეკონსტრუქციის საფუძველზე.

ომამდელ დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდეს ხორცის, რძის, თევზის, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვის წარმოება. განვითარდეს გაყინული ხილის, კენკრისა და ბოსტნეულის წარმოება, მშრალი რძის წარმოება და გადიდდეს ბოსტნეულისა და ხილის ხმობა. მოეწყოს დიეტური და საბავშვო პროდუქტების, მშრალი საუზმეების, კულინარიის ხორც-თევზეულ ნაკეთობათა, კვების კონცენტრატებისა და ვიტამინების მასობრივი დამზადება. დიდი მასშტაბით მოეწყოს ხაჰპანურის, დაძველებული მაღალხარისხოვანი ღვინოებისა და ლუდის წარმოება. აღდგენილ იქნას და განვითარდეს ახალი სახეები ომამდელი შეფუთვისა, რომელიც უზრუნველჰყოფს პროდუქტების შენახვასა და ხარისხს.

დამთავრდეს 92 შაქრის, 144 სპირტის, 24 საკონსერვო ქარხნისა და 68 პურსაცხობი ქარხნის სრული აღდგენა; აშენდეს 10 შაქრის, 7 სპირტის, 9 საკონსერვო ახალი ქარხანა და 39 პურსაცხობი ქარხანა.

აღდგენილ იქნას და დამთავრდეს 41 ხორცკომბინატი, 29 მაცივარი, 22 საქალაქო სარძიო ქარხანა, 8 რძესაკონსერვო ქარხანა, აშენდეს 36 ახალი ხორცკომბინატი, 38 მაცივარი, 48 სარძიო ქარხანა, 13 რძესაკონსერვო ქარხანა და ერბო-კარაქისა და ყველის დამამზადებელი 1.200 მექანიზებული ქარხანა; ერბო-კარაქის დამამზადებელ მრეწველობაში დაინერგოს ერბო-კარაქის დამამზადებელი განუწყვეტლივ მოქმედი მანქანები ავტომატური აწონა-შეფუთვით.

წელიწადში 1,4 მილიონი ტონით გადიდდეს მარილის მოპოვების საწარმოთა საწარმოო სიმძლავრე. დამთავრდეს მარილის ახალი მძლავრი შახტის მშენებლობა უკრაინაში. ერთიორად გადიდდეს მარილის მოპოვების სიმძლავრენი ურალში, ყაზახეთსა, ალტაის მხარესა და ირკუტსკის ოლქში.

აღდგენილ იქნას თევზსაჭერი ფლოტი და გადაჭარბებულ იქნას მისი ომამდელი ოდენობა. ხუთი წლის განმავლობაში ამუშავდეს 150 თევზსაჭერი ტრალერი, აშენდეს 13 თევზსაკონსერვო ქარხანა და 30 მაცივარი.

აღდგენილ იქნას და აშენდეს ახალი საფქვავი და საბურღულე საწარმონი. ხუთი წლის განმავლობაში აღდგენილ და აგებულ იქნას 6,4 მილიონ ტონა მარცვლეულის საწყობები და ელევატორები. საფქვავ საწარმოთა სიმძლავრე გადიდდეს იმ ანგარიშით, რომ 1950 წლის ბოლოს, დღე-ღამეში გადამუშავდეს 20 ათასი ტონით მეტი მარცვლეული. გადიდდეს სიმძლავრენი ხარისხოვანი ფქვილისა და სხვადასხვა ასორტიმენტის ბურღულის გამოსამუშავებლად.

კვების მრეწველობაში ფართოდ დაინერგოს: წარმოების განუწყვეტელი პროცესები, მცენარეული ზეთის წარმოება — განუწყვეტელი ექსტრაქციის მეთოდით, საპნის წარმოება საკვები ცხიმების სრულფასოვანი შემცვლელების (ჩინთიზორი (ხიმოვანი მჟავების, კანიფოლისა და საპონნავთის) გამოყენებით, წარმოების პროცესებისა და კონტროლის ავტომატიზაცია, სწრაფლაგამყინავი აპარატები და მაცივარი დანადგარები; მექანიზებულ იქნას წარმოების შრომატევადი პროცესები და დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოები. ფართოდ განვითარდეს ვიწროლანდაგიანი რკინიგზების მშენებლობა მიმღებ პუნქტებსა და შაქრის ქარხნებში ნედლეულის მისაზიდავად.

19. განხორციელებულ იქნას **ადგილობრივი** სახელმწიფო და კოოპერატიული მრეწველობის აღდგენა და ფართოდ განვითარება ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში.

ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ძირითად ამოცანად ჩაითვალოს ფართო მოხმარების საგნების, ადგილობრივი სამშენებლო მასალების წარმოება, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად — აკაზმულობის, საზიდრების, მარხილების, ცხენისა და ხელის უმარტივესი ინვენტარის წარმოება. უზრუნველყოფილ იქნას ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ადგილობრივ მრეწველობასა და სარეწაო კოოპერაციაში ყველასათვის ხელმისაწვდომი მაღალი ხარისხის საოჯახო ნივთების წარმოება.

1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით ადგილობრივ მრეწველობასა და სარეწაო კოოპერაციაში ავეჯის წარმოება გადიდდეს 30 პროცენ-

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(გაგრძელება)

ტით, სატრიკოტაჟო ნაკეთობისა 25-30 პროცენტით, ფეურისა 2,1-ჯერ, ტორფისა 64 პროცენტით, ქვანახშირისა 77 პროცენტით.

გადაჭრით გაუმჯობესდეს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი. აღდგენილ იქნას და გადიდდეს ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის საკერავ, აგრეთვე ავეჯისა და სამჯახო ინვენტარის შესაკეთებელ სახელოსნოთა ქსელი.

20. დაწესდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამა 1946-1950 წლებისათვის 153 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის სათბობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს და სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ხახით—55 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და ამუშავების პროგრამის უზრუნველსაყოფად განსორციელდეს **სამშენებლო ინდუსტრიის ყოველმხრივი განვითარება** და საკავშირო სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამშენებლო ორგანიზაციების განმტკიცება.

ფართოდ დაინერგოს მოწინავე სამშენებლო ტექნიკა, ამასთან მშენებლობაში მაქსიმალურად გამოყენებულ იქნას ქარხანაში დამზადებული ასაწყობი კონსტრუქციები და გადიდდეს სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია. 1950 წელს მიწის სამუშაოთა მექანიზაცია აყვანილ იქნას 1950 წლისათვის გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოთა მოცულობის 60 პროცენტამდე, ღორღის მტვრევისა 90 პროცენტამდე, ბეტონის დამზადებისა 95 პროცენტამდე და ხსნარებისა 90 პროცენტამდე, ბეტონის წყობისა 60 პროცენტამდე, სამღებრო სამუშაოებისა 50 პროცენტამდე.

შეიქმნას სპეციალიზებული საწარმოო, ბაზა სამშენებლო და საგზაო მანქანების გამოსაშვებად. გადიდდეს ექსკავატორების წარმოება. მოეწყოს და განვითარდეს მიწის სათხრელი, საგზაო, სამშენო-სატრანსპორტო, დასატვირთავ-გადმოსატვირთავი უახლესი მანქანების, ელექტროფიცირებული და პნევმატური სამშენებლო ინსტრუმენტის წარმოება, აგრეთვე თანამედროვე მოწყობილობის წარმოება სამშენებლო მასალების, სამშენებლო დეტალების, ლითონკონსტრუქციებისა და ხის დამამუშავებელი მოწყობილობის დასამზადებლად.

განვითარდეს სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო ბაზა (კარიერები, სარემონტო სახელოსნოები, საწარმოები სამშენებლო ნაკეთობათა გამოსაშვებად). მოეწყოს სტანდარტული სახლების, სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების მასობრივი საფაბრიკო-საქარხნო წარმოება. შეიქმნას საარქიტექტურო-მოსაპირკეთებელი მასალებისა და დეტალების მრეწველობა.

სამშენებლო სამუშაოთა განხორციელება მთლიანად გადაყვანილ იქნას ათანადო წესით დამტკიცებული ტექნიკური პროექტებისა და მათი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

21. წარმოების დადგენილი ზრდისა და კაპიტალური მშენებლობის პროგრამის შესაბამისად განისაზღვროს:

ა) **შრომის ნაყოფიერების** ზრდა მრეწველობაში 1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით 36 პროცენტით;

ბ) შრომის ნაყოფიერების ზრდა მშენებლობაში 1950 წელს ომამდელ დონესთან შედარებით 40 პროცენტით;

გ) სამრეწველო პროდუქციის **თვითღირებულების შემცირება** 1950 წელს 1945 წელთან შედარებით 17 პროცენტით პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად;

დ) სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების შემცირება ხუთწლედის ბოლოს 1945 წლის დონესთან შედარებით 12 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის დარგში

22. **სოფლის მეურნეობის** დარგში სავსებით აღდგენილ იქნას მიწათმოქმედება და მეცხოველეობა და უზრუნველყოფილ იქნას მათი შემდგომი განვითარება იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანული okუპაცია განიცადეს, გადაჭარბებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ომამდელი დონე მთლიანად სსრ კავშირში.

სოფლის მეურნეობის უსწრაფესი აღდგენისა და შემდგომი განვითარების მიზნით უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივი განმტკიცება და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება.

23. **პროდუქციის ზრდა** სსრ კავშირის მთელ სოფლის მეურნეობაში ხუთწლედის დამლევისათვის განისაზღვროს 27 პროცენტით 1940 წელთან შედარებით.

მარცვლეული კულტურების დარგში — უზრუნველყოფილ იქნას მარცვლეულის და განსაკუთრებით ხორბლის, ბრინჯისა და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება მოსახლეობის სურსათით მომარაგების გასაუმჯობესებლად და ჩვენს ქვეყანაში პურის საჭირო მარაგის შესაქმნელად. უზრუნველყოფილ იქნას ხუთწლედის დამლევისათვის მარცვლეულის წლიური მოსავალი 127 მილიონი ტონის რაოდენობით, ჰექტარზე 12 ცენტნერი საშუალო მოსავლიანობის მიღწევით.

ტექნიკური კულტურების დარგში — უზრუნველყოფილ იქნას შაქრის ჭარხლის საერთო მოსავალი 26 მილიონი ტონა, ჰექტარზე 190 ცენტნერი მოსავლიანობით; ნედლი ბამბის—3,1 მილიონი ტონა, ჰექტარზე 18,4 ცენტნერი მოსავლიანობით; სელის ბოჭკოსი—0,8 მილიონი ტონა, ჰექტარზე 4 ცენტნერი მოსავლიანობით და სელის საშუალო ნორმის გადიდებით; მზესუმზირისა—3,7 მილიონი ტონა, ჰექტარზე 10,0 ცენტნერი მოსავლიანობით. უზრუნველყოფილ იქნას კანაფის, უხვზეთოვანი კულტურების, აგრეთვე თამბაქოს და წიკოს ნათესი ფართობების აღდგენა და მნიშვნელოვანი გადიდება. შეიქმნას ნატურალური კაუჩუკის წარმოების სანედლეულო ბაზა კაუჩუკოვანი კულტურების ნათესი ფართობებისა და მოსავლიანობის გადიდების, მათი სწორად განლაგებისა და მათი მოყვანის აგროტექნიკის გაუმჯობესების გზით.

მეცხოველეობის დარგში — გადიდდეს ცხენის სულადობა ხუთი წლის მანძილზე 46 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა 39 პროცენტით, ცხვრისა და თხისა 75 პროცენტით, ღორისა ერთიასამად 1945 წელთან შედარებით. ყოველმხრივ განვითარდეს მალემზრდი მეცხოველეობა და განსაკუთრებით მეფრინველეობა, მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურების ფართო მშენებლობის ბაზაზე.

მიღებულ იქნას ზომები მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოს, ხარკოვის, კიევის, აგრეთვე ურალის, დონბასის, კუზბასის, გორკის სამრეწველო ცენტრების, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქალაქებისა და სხვა ქალაქების გარშემო კარტოფილ-ბოსტნეულისა და მეცხოველეობის ბაზების შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის იმ ანგარიშით, რომ მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას ამ ცენტრების მომარაგება საკუთარი წარმოების ბოსტნეულით, კარტოფილით და, მნიშვნელოვანწილად, რძითა და ხორცით, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას სასათბურო მეურნეობის ყოველმხრივი განვითარება ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში აღრეული ბოსტნეულითა და მწვანილით მოსამარაგებლად. უზრუნველყოფილ იქნას მუშათა და მოსამსახურეთა შორის ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის შემდგომი განვითარება, ბოსტნებში მოსავლიანობის გადიდება, აგრეთვე ინდივიდუალური მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის განვითარება.

ნი ბალახების ნათესების ფართოდ გამოყენებით, აგრეთვე ანეულის დროული ხვნითა და კარგი დამუშავებით. უზრუნველყოფილ იქნას სასელექციო და სამეთესლეო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, განვითარდეს მრავალწლიანი ბალახების თესლის წარმოება ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იმ ოდენობით, რომ სავსებით უზრუნველჰყოს მეურნეობის საჭიროებანი თესვისათვის, მიღებულ თესლბრუნვათა მიხედვით. მიხედვების დასარეველიანების უსწრაფესი ლიკვიდაციის მიზნით უზრუნველყოფილ იქნას ნიადაგის დამუშავების სწორი სისტემის გამოყენება (კულტურული ხვნა წინასახნისიანი გუთნით, ნაპურალის აოშვა), აგრეთვე მზრალად ხნულის კარგად დამუშავება.

უზრუნველყოფილ იქნას მარცვლეული, მარცვლეულ-პარკოსანი, ზეთოვანი და სხვა კულტურების ნათესები მაღალხარისხოვანი სელექციური და გაუმჯობესებული რჩეული ადგილობრივი ჯიშების თესლით; დამთავრდეს მარცვლეული კულტურების მთლიანად ჯიშობრივ ნათესებზე გადასვლა ჯიშთა დარაიონების გეგმის შესაბამისად; გამრავლდეს და დაინერგოს ახალი უფრო პროდუქტიული ჯიშები.

ადგილობრივი ორგანული სასუქების (ნაკელის, ტორფის) სრულად გამოყენებასთან ერთად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაფართოვდეს მინერალური სასუქებით სარგებლობა. მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას ტექნიკური კულტურების (ბამბის, საბოჭკოე სელის, კანაფის, შაქრის ჭარხლის, კაუჩუკოვანი მცენარეების, თამბაქოს, ჩაის, ციტრუსოვანი კულტურების) მოთხოვნილება მინერალური სასუქების მხრივ და სხვა კულტურებისათვის, განსაკუთრებით ბოსტნეულისა და კარტოფილისათვის მინერალური სასუქების გამოყენების მნიშვნელოვანი ზრდა. მოეწყოს სასუქების შეტანის სამუშაოთა მექანიზაციისათვის საჭირო მანქანების (ტუკის საფრქვევები, ნაცელსაყრელები) მასობრივი წარმოება. 1950 წელს სოფლის მეურნეობისათვის მიწოდებულ იქნას მინერალური აზოტის, ფოსფატისა და კალიუმის სასუქები 5.100 ათასი ტონის რაოდენობით და, გარდა ამისა, 400 ათასი ტონა ფოსფორიტის ფქვილი.

აღდგენილ იქნას ველიან და ტყეველიან რაიონთა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მინდორსაფარი სატყეო ნარგავები და უზრუნველყოფილ იქნას მინდორსაფარი სატყეო ზოლების გაშენების გადიდება სწრაფად მზარდი ჯიშების ხითა და ხეხილით, ბუჩქნარისა და კენკრის ნარგავებით, აგრეთვე ხევისპირა ხისა და ხეხილის ნარგავების გაშენება.

26. **წყალთა მეურნეობის** სისტემების აღდგენისა და შემდგომი განვითარების მიზნით უზრუნველყოფილ იქნას ხუთწლედში სარწყავი ფართობების გადიდება 656 ათასი ჰექტარით და ამოშრობილი ფართობებისა 615 ათასი ჰექტარით. ჩატარდეს ამოსაშრობი სისტემების აღდგენა ბელორუსიის სს რესპუბლიკაში და ბარაბინის ველზე და მოეწყოს ამოსაშრობი სისტემა მდინარე იაბროშის ველზე. დამთავრდეს კიროვის სახელობის სარწყავი სისტემის მშენებლობა გოლოდნაია სტეპში, კატა-კურგანის, ორტო-ტოკაისა და ტეჯენის წყალსაცავებისა და ნევინომისკის სარწყავი არხის მშენებლობა. გაიაღდეს სამშენებლო სამუშაოები მტკვარ-არაქსის დაბლობში, ვოლგა-ახტუბის ველსა და კრასნოდარის მხარეში ბრინჯის სათესი მიწების მოსარწყავად. ფართოდ მოეწყოს დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო უმარტივესი სარწყავი სისტემების მშენებლობა სარწყავი მებოსტნეობის განსავითარებლად.

უზრუნველყოფილ იქნას სარწყავი მიწების სრული გამოყენება სარწყავი ნათესებისა და ნარგავებისათვის, არ იქნას დაშვებული მათი დასარევლიანება და დაჭაობება; განხორციელდეს ღონისძიებანი იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოექცეს ის მიწები, რომლებიც წინათ ირწყვებოდა ფერგანაში, გოლოდნაია სტეპში, სამხრეთ ხვარაზმში, ვახშის დაბლობში, მუღანის ველზე და სხვა რაიონებში. გაუმჯობესდეს სარწყავ სისტემათა ტექნიკური ექსპლოატაცია, უზრუნველყოფილ იქნას წყალსაგდები და საკოლექტორო ქსელის დროული რემონტი და გაწმენდა, სარწყავი წყლის მომშორნებით ხარჯვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მორწყვის ნორმებისა და ვადების გათვალისწინებით; ამაღლდეს სარწყავი სისტემების მშენებლობისა და გაწმენდის სამუშაოთა მექანიზაციის დონე. სრულად ათვისებულ იქნას ამოშრობილი მიწები სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებისათვის, მოეწყოს სარწყავ სისტემათა სწორი ექსპლოატაცია. აღდგენილ იქნას და გაგრძელდეს მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობისათვის, სარწყავი ნაკვეთების მოსაწყობად და ამ ნაკვეთებზე ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასათესად; მოეწყოს გუბურებსა და წყალსატევებში თევზისა და წყლის ფრინველის მოშენება.

27. აღდგენილ და უზრუნველყოფილ იქნას მინდვრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის შემდგომი ზრდა, რისთვისაც უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მეურნეობა ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, რაც საჭიროა ნიადაგის დამუშავების მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებისათვის, მცენარეების მოვლისა და მოსავლის აღებისათვის. შიტანილ იქნას სოფლის მეურნეობაში 1946-1950 წლების მანძილზე სულ მცირე 325 ათასი ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო მანქანა 4.500 მილიონი მანეთის ღირებულებისა (1926-27 წლის ფასებით).

აგებულ იქნას ხუთწლედის განმავლობაში 950 ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგური და უზრუნველყოფილ იქნას თვითეული მტს-ი მიმდინარე რემონტის სახელოსნოებით და სამეურნეო ნაგებობებით; უზრუნველყოფილ იქნას მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სარემონტო ბაზის მშენებლობა და გადიდდეს მოტორსარემონტო და მექანიკური ქარხნების რაოდენობა 210-მდე და მანქანა-ტრაქტორთა კაპიტალური რემონტის სახელოსნოებისა 510-მდე; განმტკიცდეს კადრებით მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

უზრუნველყოფილ იქნას ახალი, უფრო გაუმჯობესებული ტრაქტორების, ნიადაგდამუშავებელი, სათესი და მოსავლის ასაღები მანქანების, წინდენიანი და თვითმავალი კომბაინების, ჩალისა და ნახორის ცალ-ცალკე ასაკრეფ მოწყობილობიანი კომბაინების, ჭარხლის ასაღები კომბაინების, ჭარხლის დამტვირთველი, ნედლი ბამბის ასაღები მანქანების, ბოსტნეული კულტურების დამმუშავებელი და ასაღები მანქანების, აგრეთვე ბოსტნეული კულტურების სათესლეების დამმუშავებელი მანქანებისა და ტრაქტორებზე მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების კონსტრუირება და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მათი დანერგვა. ფართოდ მოეწყოს საკონსტრუქტორო მუშაობა ქარხნებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხაზით და ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სახელმწიფო გამოცდის ჩასატარებლად.

უზრუნველყოფილ იქნას აგრონომების, ინჟინრების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინარი ექიმების, მიწათმომწყობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტების საკმაო რაოდენობით მომზადება. აგრეთვე მასობრივი კვალიფიკაციის კვალიფიკაციური კადრების მომზადება მტს-ებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაციის შემდგომი განვითარება. გაიშალოს სოფლად მცირე ჰიდროსადგურების მშენებლობა, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ჰიდრორესურსები არ არის,—ადგილობრივ სათბობზე მომუშავე ლოკომობილურ და გაზგენერატორულ ძრავებიანი თბოელექტროსადგურების მშენებლობა.

28. **მეცხოველეობის** დარგში: მთლიანად აღდგენილ იქნას საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობა და ყოველმხრივ გადიდდეს მუშა პირუტყვის სულადობა იმ რაიონების კოლმეურნეობებში, რომლებიც გერმანელთა მიერ იყვნენ ოკუპირებულნი; უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარება ყველა რაიონის კოლმეურნეობებში, ამ საფუძველზე ხუთწლედის განმავლობაში გადამეტებულ იქნას მთელი პროდუქტიული პირუტყვის სულადობის ომამდელი დონე სსრ კავშირში.

აღდგენილ და მოწყობილ იქნას ახალი საკიმე საბჭოთა მეურნეობანი, სახელმწიფო საკიმეები და კოლმეურნეობათა საკიმე ფერმები; გაუმჯობესდეს პირუტყვის ჯიშები და უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის ჯიშების შემდგომი გაუმჯობესება ყველაზე უფრო პროდუქტიული ცხოველების შერჩევის გზით, აგრეთვე მაღალპროდუქტიული მწარმოებლებით პირუტყვის მეტიზაციის საშუალებით იმ ვარაუდით, რათა ხუთწლედის ბოლოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰქონდეთ ჯიშიანი მაღალპროდუქტიული პირუტყვის მნიშვნელოვანი ზრდა; უზრუნველყოფილ იქნას პირუტყვის ჯიშების სწორი დარაიონება.

უზრუნველყოფილ იქნას სარძეო და სახორცე მესაქონლეობის აღდგენა და შემდგომი განვითარება, გადიდდეს ხუთწლედის ბოლოსათვის წველადობა საშუალოდ 1 ძროხაზე 67 პროცენტით 1945 წელთან შედარებით, ფართოდ მოეწყოს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის იალაღზე ძოვება და გასუქება.

ცხენების სულადობის აღდგენის მიზნით უზრუნველყოფილ იქნას კვიცების გამოზრდის მნიშვნელოვანი გადიდება; გაფართოვდეს ცხენსაშენი თაულების და საჯიშე საკოლმეურნეო მეცხენეობის ფერმების ქსელი; განმტკიცდეს სახელმწიფო ცხენსაშენები; ფართოდ განვითარდეს ჯოგური მეცხენეობა ველებიან რაიონებში.

უზრუნველყოფილ იქნას მეღორეობის უსწრაფესი აღდგენა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში, გადიდდეს ღორის ხორცის ხვედრითი წონა ხორცეულის პროდუქციაში.

აღდგენილ და განვითარებულ იქნას წმინდამატყლიანი და ნახევრად უხეშმატყლიანი მეცხვარეობა, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინის სს რესპუბლიკის, ყაზახეთის სს რესპუბლიკის, ყირგიზეთის სს რესპუბლიკის, დასავლეთ ციმბირის და ვოლგისპირეთის რაიონებში, აგრეთვე საკრაველე, ტყავპუშ-საქურქე და სახორცე-საქონე მეცხვარეობა მისი გავრცელების რაიონებში, გადიდდეს მატყლის საშუალო ნაპარსი თითო ცხვრიდან ხუთწლედის ბოლოსათვის 30 პროცენტით 1945 წელთან შედარებით.

მოეწყოს თვითეულ კოლმეურნეობაში, რომელსაც მარცვლეულის ნათესები აქვს, მეფრინველეობის ფერმები; ყოველნაირად განვითარდეს მეფრინველეობა და მეკურდღლეობა კოლმეურნეებს შორის, ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებში, მუშებსა და მოსამსახურეებს შორის.

აღმოეჩინოს სახელმწიფო დახმარება კოლმეურნეებს პირუტყვის შეძენაში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ნორმების შესაბამისად.

29. საკვები ბაზის ძირეული გაუმჯობესებისა და კარგი თივით, ძირხვენა მცენარეებით, სილოსითა და სხვა ნოყიერი საკვებითა და საძოვრებით პირუტყვის უზრუნველყოფის მიზნით: შემოღებულ იქნას საკვები ბალახების სწორი თესლბრუნვები, პირველ რიგში განვითარებული მეცხოველეობის მქონე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და სახელმწიფო საჯიშეების რაიონების კოლმეურნეობებში; უზრუნველყოფილ იქნას მაღალი ხარისხის თივის აღების მნიშვნელოვანი გადიდება ბუნებრივი თიბვისა და ნათესი ბალახების დროზე აღების ჩატარების, აგრეთვე მოლოების გაუმჯობესების გზით; გაუმჯობესდეს პირუტყვის საძოვარზე შენახვა ბუნებრივი საძოვრების სწორად გამოყენების მოწყობის გზით; უზრუნველყოფილ იქნას გასარეკი მეცხოველეობის რაიონებში ჭების, საცხოვრებელ და საწარმოო ნაგებობათა მშენებლობა და მარაგისა და საკვების შექმნა ზამთრის საძოვრებზე; გაფართოვდეს საკვები ძირხვენა მცენარეებისა და სასილოსე კულტურების სათესი ფართობები და გადიდდეს მათი მოსავლიანობა; ფართოდ გაიშალოს საკვებათა დასილოსება და უზრუნველყოფილ იქნას სასილოსე ნაგებობათა, განსაკუთრებით სასილოსე კოშკების მშენებლობა; აღდგენილ იქნას და განვითარდეს ღორის გასასუქებელი მეურნეობანი დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ირგვლივ, აგრეთვე გასასუქებელი პუნქტები შაქრის, არყის სახდელ და კრახმალბადაგის ქარხნებთან ამ საწარმოთა ნარჩენების მთლიანად გამოყენებით.

ყოველმხრივ განვითარდეს მეფუტკრეობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე მუშებსა და მოსამსახურეებს შორის; მიღებულ იქნას ზომები მეფუტკრეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად. გადიდდეს სკების, მეფუტკრეობის ინვენტარისა და ხელოვნური ფიჭის წარმოება.

30. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველნაირად განმტკიცებისა და განვითარების მიზნით: უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სიმდიდრის—მათი შემოსავლის, განუყოფელი ფონდების, ნაგებობათა, პირუტყვის, ინვენტარის, აგრეთვე სადაზღვევო, სათესლე და საფურაჟე ფონდების შემდგომი ზრდა.

უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწებისა და საკოლმეურნეო საკუთრების დაცვა, არ იქნას დაშვებული სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის — არჩევითობის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა საერთო კრების წინაშე კოლმეურნეობათა გამგეობების ანგარიშგების დარღვევა.

გადიდდეს შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაციის, საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილებაში შრომადღის როლის განმტკიცებისა და ამაღლების საფუძველზე; განმტკიცდეს კოლმეურნეობებში ბრიგადები და რგოლები ინდივიდუალური და ჯგუფური სანარდო სისტემის გამოყენებით; ფართოდ გატარდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისათვის, პირუტყვის სულადობის გაზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურება.

განმტკიცდეს დისციპლინა კოლმეურნეობათა მიერ თავიანთ ვალდებულებათა შესრულებისას სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების დარგში.

31. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის დარგში მომავალ ხუთწლედში უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა მეურნეობების მეურნეობის სანიმუშოდ წარმოება — მნიშვნელოვნად გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ამაღლდეს გამომუშავება ტრაქტორებზე, კომბაინებზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე და შემცირდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება; აღდგენილ იქნას პროდუქტიული პირუტყვის სულადობის ომამდელი დონე და ეს დონე 1950 წელს გადამეტებულ იქნას: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა 16 პროცენტით, ცხვრისა და თხის—32 პროცენტით და ღორისა—28 პროცენტით; დასრულდეს მინდვრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და მეცხოველეობაში ძირითადი პროცესების მექანიზაცია; შეიქმნას საბჭოთა მეურნეობებში მუშათა მუდმივი მყარი კადრები, მიეცეთ მათ საკარმიდამო ნაკვეთები და აღმოეჩინოთ სახელმწიფო დახმარება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აგებაში.

32. სოფლის მეურნეობის აღდგენისა და აღმავლობის, ნათესი ფართობების გადიდების, მოსავლიანობის გადიდების, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის მოკავშირე რესპუბლიკების, უკრაინისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკების დასავლეთი ოლქების გლეხურ მეურნეობებში პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის უზრუნველყოფის მიზნით გლეხურ მეურნეობებს აღმოეჩინოთ საწარმოო დახმარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განმტკიცებით, მტს-ების, მანქანებისა და ცხენების გასაქირავებელი პუნქტების ქსელის გაფართოებით, სესხის მიცემით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მინერალური სასუქების შეტანისა და მიყიდვის გადიდებით და ჯიშიანი პირუტყვის საშინაო მოწყობით.

33. სატყეო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების, აგრეთვე იმ რაიონებში გაჩეხილ ფართობებზე ტყის გაშენების მიზნით, რომლებმაც გერმანული okუპაცია განიცადეს. ჩატარდეს ტყეების გამოკვლევა და ინვენტარიზაცია და ტყეთმოწყობა 123 მილიონ ჰექტარ ფართობზე; ფართოდ გაიშალოს მუშაობა თესლის დამზადებისა და სანერგე მასალის საველეების გაშენების დარგში; მიღებულ იქნას ზომები ტყის მასივების მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის ველებიან რაიონებში, რომლებსაც დიდი სასოფლო-სამეურნეო და წყალდამცავი მნიშვნელობა აქვთ.

34. გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობა, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს ძირითად ამოცანად დაისახოთ იმ ღონისძიებათა შემუშავება, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მიწათმოქმედების, მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების შემდგომ აღმავლობას, სსრ კავშირის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ზონების შესაბამისად.

უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა აგროტექნიკური მეცნიერების შემდგომი განვითარება და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ელექტროფიკაციის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში.

ტრანსპორტის დარგში

ტვირთბიდვის დარგში სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად დაწესდეს შემდეგი დავალებანი ტრანსპორტის დარგში.

35. **რკინიგზის ტრანსპორტის** დარგში—უზრუნველყოფილ იქნას 1950 წელს საშუალო-სადღეღამისო დატვირთვა რკინიგზის ტრანსპორტზე 115 ათასი ვაგონის რაოდენობით და ტვირთბრუნვა 532 მილიარდი ტონა-კილომეტრის მოცულობით.

კაპიტალურად აღდგენილ იქნას რკინიგზის ტრანსპორტი იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანული okუპაცია განიცადეს. გადაჭარბებულ იქნას გამტარუნარიანობის ომამდელი დონე შემდეგი მიმართულებებით: დონბას-ცენტრი, დონბას-კრივოი როგი, დონბას-ვოლგისპირეთი, გამოსასვლელები კავკასიიდან, მოსკოვ-ლენინგრადი, მოსკოვ-კიევ-ლვოვი, მოსკოვ-სმოლენსკ-კენიგსბერგი, მოსკოვ-ველიკიე ლუკი-რიგა.

უზრუნველყოფილ იქნას სრული შეუფერხებელი დაკმაყოფილება ურალისა და ციმბირის მრეწველობის საჭიროებისა ტვირთბიდვის დარგში.

ტექნიკურად ხელახლად იქნან შეიარაღებული ომნიშნველოვანესი მიმართულებების რკინიგზები და უზრუნველყოფილ იქნას მათი შეუფერხებელი მუშაობა ზამთრის პირობებში, უწინარეს ყოვლისა, ელექტროწევისა და თბოწევის დანერგვის გზით.

შეივსოს მოძრავი შემადგენლობის პარკი 6.165 სამაგისტრალო ლოკომოტივით, 555 სამაგისტრალო ელექტრომავლით, 865 სამაგისტრალო თბომავლით, 472,5 ათასი სატვირთო ვაგონით (ორღერძიანი გამოანგარიშებით) და 6 ათასი სამგზავრო ვაგონით.

(გაგრძელება იქნება)

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონების განსახორციელებლად

მიტინგები თბილისის საწარმოებში

ტექნიკური პროგრესის გრანდიოზული პროგრამა

გუშინ ხალხმრავალი მიტინგები მოეწყო სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ყველა საამქროში. ისინი მიეძღვნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონების გაცნობას.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული ახალი ხუთწლიანი გეგმა,—სთქვა საორთქლმავლო საამქროს ბრიგადის ხელმძღვანელმა ნ. ხვთისიაშვილმა, — ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავების, ტექნიკური პროგრესის უდიდესი პროგრამაა. სტალინური კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მძიმე მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის საკითხებს. ეს ჩვენი კოლექტივის თვითეულ წევრს, როგორც საბჭოთა ტრანსპორტის პატრიოტს, ავალებს დაუღალავად იშრომოს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ბრიგადის სახელით ვკისრულობ მარტის გეგმა შევასრულო 150, ხოლო აპრილის—200 პროცენტით. ერთ მოწაფეს შევასწავლი ჩემს პროფესიას.

— ჩვენი ქვეყანა, — განაცხადა ლენინის ორდენოსანმა კ. ილურიძემ, — უკვე იცნობს სამი ხუთწლედის მაღალ ტემპებს. ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა კიდევ უფრო გრანდიოზულ ამოცანებს გვისახავს. მისი განხორციელება მოითხოვს მთელი ჩვენი ძალების დაძაბვას, მოგვიწოდებს თავდადებული შრომისაკენ.

მიჭმართავ ჩვენი დიდი კოლექტივის თვითეულ წევრს — ჩაებას სპორველთაშორის სოციალისტურ შეჯიბრებაში, გააძლიეროს მუშაობა და ამით ხელი შეუწყოს მეოთხე ხუთწლედის ბოლოშეიკუთრად შესრულებას. გუშინ სტახანოვურ ვახტზე დავდექი და გეგმა 500 პროცენტით შევასრულე. პირობას ვიძლევი კიდევ უფრო გავზარდო ტემპები, დაუღალავად ვიმუშაო საყვარელი სამშობლოს შემდგომი კეთილდღეობისათვის.

— სესიის მიერ მიღებული სტალინური გეგმები ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს, — განაცხადა საბარგო-სავაგონო საამქროს პირველი კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ს. ფირცხალავამ. კომპლექსის სახელით მან იკისრა მარტში გამოუშვას 31 ვაგონი და შეჯიბრებაში გამოიწვია ამავე საამქროს მეორე კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ამხ. ვ. კაშია ხელმძღვანელობს.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს ქარხნის სტახანოველმა მჭედლებმა გ. ჯაბუაშვილმა, გ. არუშანოვმა, ლ. ხარჩილავამ, მექვაბეებმა მ. გეწაძემ, უ. ლორთქიფანიძემ, ვ. დაბრუნდაშვილმა, ვ. ლაზუაშვილმა, ი. მაჩაიძემ, ხარატებმა ე. ტუზოვმა და კ. ანტონოვმა.

დიად მშენებლობათა ხუთწლედი

თბილისის კალინინის სახელობის ქარხანაში უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით ჩატარდა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების მიტინგი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონების შესახებ მიტინგზე ილაპარაკა სამსხმელო საამქროს უფროსმა ო. ეტმენჭიანმა.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ისტორიული კანონები მიიღო. შეიქმნა მინისტრთა საბჭო, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის დიდი სტალინის მეთაურობით. სტალინური მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენ შევასრულებთ ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი, — ამბობს საწოლების ბადის მჭედველი, სტახანოველი ი. გუბელაძე, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობის დღეებში პატრიოტული თავდადებით მუშაობდა. ახლაც ყველა იმას ვისწრაფვით, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ სესიის მიერ დასახული პროგრამის განხორციელებაში. ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 500 პროცენტით შევასრულო.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები გვავალებენ ვიმუშაოთ დაუღალავად ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისა და განმტკიცებისათვის. პირობას ვიძლევი დავალებანი 300 პროცენტით მაინც შევასრულო. ამით ჩემს წვლილს შევიტან დიადი სტალინური პროგრამის განხორციელებაში. — განაცხადა ოქსაკალინის სახელობის ქარხნის ფრეზერ-ხარატმა ნ. ბერიძემ.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ისტორიული კანონები მიიღო. შეიქმნა მინისტრთა საბჭო, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის დიდი სტალინის მეთაურობით. სტალინური მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენ შევასრულებთ ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს, — განაცხადა საბარგო-სავაგონო საამქროს პირველი კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ს. ფირცხალავამ. კომპლექსის სახელით მან იკისრა მარტში გამოუშვას 31 ვაგონი და შეჯიბრებაში გამოიწვია ამავე საამქროს მეორე კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ამხ. ვ. კაშია ხელმძღვანელობს.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს ქარხნის სტახანოველმა მჭედლებმა გ. ჯაბუაშვილმა, გ. არუშანოვმა, ლ. ხარჩილავამ, მექვაბეებმა მ. გეწაძემ, უ. ლორთქიფანიძემ, ვ. დაბრუნდაშვილმა, ვ. ლაზუაშვილმა, ი. მაჩაიძემ, ხარატებმა ე. ტუზოვმა და კ. ანტონოვმა.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი, — ამბობს საწოლების ბადის მჭედველი, სტახანოველი ი. გუბელაძე, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობის დღეებში პატრიოტული თავდადებით მუშაობდა. ახლაც ყველა იმას ვისწრაფვით, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ სესიის მიერ დასახული პროგრამის განხორციელებაში. ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 500 პროცენტით შევასრულო.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები გვავალებენ ვიმუშაოთ დაუღალავად ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისა და განმტკიცებისათვის. პირობას ვიძლევი დავალებანი 300 პროცენტით მაინც შევასრულო. ამით ჩემს წვლილს შევიტან დიადი სტალინური პროგრამის განხორციელებაში. — განაცხადა ოქსაკალინის სახელობის ქარხნის ფრეზერ-ხარატმა ნ. ბერიძემ.

სამშობლოს კეთილდღეობისათვის

უდიდესმა სიხარულმა მოიცვა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები, როდესაც გაეცნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებულ კანონებს. ეს კანონები უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის შემდგომ ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას. მთელი საბჭოთა ხალხი იწონებს ამ კანონებს. სწორედ ამიტომ საწარმოებში მძლავრი შრომითი აღმავლობაა. ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება აბრეშუმის ფაბრიკაშიც. მოწინავე მჭსოველები, მჭსელავები და მხვევლები 130-დან 200-მდე პროცენტით ასრულებენ დღიურ დავალებებს.

გუშინ, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, ფეიერები საქსელე საამქროში შეიკრიბნენ. საერთო სოფაბრიკო მიტინგი, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგებისადმი გახსნა ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ა. ქემოკლიძემ. სესიის მიერ მიღებული კანონების შესახებ ილაპარაკა ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ლაბარტყავამ.

ფაბრიკის კოლექტივის აზრი ქარგად გამოხატა სტახანოველმა მჭსელავმა ლიდა ციცქიშვილმა, როცა განაცხადა:

— ახალი ხუთწლიანი გეგმა საბჭოთა ქვეყნის შემდგომი განმტკიცების დიადი პროგრამაა. მასში გამოხატულია მთელი საბჭოთა ხალხის ნებასურვილი—განუხრელად გააძლეროს ჩვენი დიადი სამშობლო. დიად სამუშაოთა პროგრამა მოგვიწოდებს ახალი შრომითი გმირობისაკენ. ჩვენი ვალია განუხრელად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება და შევამციროთ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება. მე ვკისრულობ მარტისა და აპრილის გეგმა გადაჭარბებით შევასრულო.

— სიამაყის გრძნობით ამევსო გული, როცა ჩვენი დიდი სამშობლოს აყვავების სტალინურ გეგმას გავეცანი, — განაცხადა გაშომგონებელ-რაციონალიზატორმა ი. სანოვიჩმა. — ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გადაჭარბებით შევასრულოთ დასახული გეგმები. მთლიანად გამოვიყენოთ რეზერვები, ვიბრძოლოთ დანაკარგების წინააღმდეგ, რაციონალურად მოვაწყოთ შრომა, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება. ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ 5-წლიანი გეგმის განხორციელებაში.

მიტინგზე გამოვიდა ოთხდაზგოსანი მჭსოველი ამხ. მ. მიტოიანი, რომელმაც იკისრა მარტის გეგმა 130 პროცენტით შეასრულოს.

ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა მიმდინარე წელს გეგმის გადამეტებით მისცეს ქვეყანას 48 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, დაზოგოს ნედლეული, გაათმაგობესოს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და შეამციროს თვითღირებულება.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები გვავალებენ ვიმუშაოთ დაუღალავად ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისა და განმტკიცებისათვის. პირობას ვიძლევი დავალებანი 300 პროცენტით მაინც შევასრულო. ამით ჩემს წვლილს შევიტან დიადი სტალინური პროგრამის განხორციელებაში. — განაცხადა დიდი სტალინური პრემიის ლაურეატმა, ფრეზერ-ხარატმა ნ. ბერიძემ.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ისტორიული კანონები მიიღო. შეიქმნა მინისტრთა საბჭო, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის დიდი სტალინის მეთაურობით. სტალინური მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენ შევასრულებთ ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს, — განაცხადა საბარგო-სავაგონო საამქროს პირველი კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ს. ფირცხალავამ. კომპლექსის სახელით მან იკისრა მარტში გამოუშვას 31 ვაგონი და შეჯიბრებაში გამოიწვია ამავე საამქროს მეორე კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ამხ. ვ. კაშია ხელმძღვანელობს.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს ქარხნის სტახანოველმა მჭედლებმა გ. ჯაბუაშვილმა, გ. არუშანოვმა, ლ. ხარჩილავამ, მექვაბეებმა მ. გეწაძემ, უ. ლორთქიფანიძემ, ვ. დაბრუნდაშვილმა, ვ. ლაზუაშვილმა, ი. მაჩაიძემ, ხარატებმა ე. ტუზოვმა და კ. ანტონოვმა.

სტალინური გეგმა განხორციელებული იქნება

საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მიერ მიღებულ კანონებს თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი შეხვდა როგორც მოწოდებას თავდადებული შრომისაკენ სოციალისტური საშობლოს შემდგომი განმტკიცებისათვის.

საგამრეცხო საამქროში აგიტაციაბარი ჩაატარა პარტბიუროს მდივანმა ამხ. დ. ჭავჭანიძემ. ზეინკალმა ნ. ცეროშიძემ განაცხადა:—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე ვიდექი და დღიურ ნორმებს 200 პროცენტით ვასრულებდი. სიტყვას ვიძლევი მომავალში კიდევ უკეთესად ვიმუშაო.

წარჩინებულმა ზეინკალმა დაპირება გაანაღდა. გუშინ მან გეგმა 350 პროცენტით შეასრულა.

ამავე საამქროს ზეინკალმა რ. კოპალეიშვილმა მეორე კომპლექსური ბრიგადის სახელით ვალდებულება იკისრა მარტში გეგმის გადამეტებით გამოუშვას ერთი ორთქლმავალი. გუშინ ბრიგადამ დავალება 150 პროცენტით შეასრულა. მესამე კომპლექსურმა ბრიგადამ იკისრა გეგმის გადამეტებით ორი ორთქლმავალი შეაკეთოს. მთლიანად საამქრომ პირობა დასდო სესიის მუშაობის წარმატებით დამთავრება აღნიშნოს გეგმის გარეშე ოთხი ორთქლმავლის გამოშვებით.

საინსტრუმენტო საამქროში ზეინკალმა ზ. კარტაშოვმა განაცხადა: — საბჭოთა ხალხის რჩეულებმა დაამტკიცეს ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების დიადი სტალინური გეგმა. ყოველ საბჭოთა პატრიოტს აღაფრთოვანებს სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და კულტურული განვითარების გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც დასახულია მეოთხე ხუთწლედში. ამხ. კარტაშოვი სტალინურ ვახტზე დადგა. გუშინ მან დავალება 300 პროცენტით შეასრულა. მის მაგალითს ძიბაძეს ს. კოროშიძემ და ი. ვაშვილეველიშმა. თვითეულმა ამ დღეს სამი ნორმა გამოიმუშავა.

აწეეთი საამქროს ზეინკალმა შ. ნიკოლეიშვილმა სთქვა: — საბჭოთა ხალხის რჩეულმა შვილებმა დიადი პროგრამა დაგვისახეს. ახლა საქმე ჩვენზეა. ჩვენ კი, საბჭოთა ადამიანები, ერთსულოვნად ვამბობთ: — სტალინური გეგმები განხორციელებული იქნება!

საამქროს მოწინავე ადამიანები ბ. ხმიადაშვილი, ს. არუთინოვი, შ. ხარებავა, ბ. ტურაშვილი, პ. მაზმიშვილი სესიის მიერ მიღებული კანონების აღსანიშნავად ორ-სამ ნორმას ასრულებენ. ასევე წარმატებით მუშაობენ სახარატო საამქროს სტახანოველები ს. ცერაძე, პ. პივნენკო, გ. ჯანველოვი, ვ. ტატიშვილი და სხვები.

საქართველოს მონადირეთა კავშირის 25 წლისთავი

25 წელია არსებობს საქართველოს მონადირეთა კავშირი. მშრომელთა ასეთი მასობრივი საზოგადირო-სპორტული ორგანიზაციის შექმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა წყობილების პირობებში. ნადირობა, ეს უძველესი სახალხო სპორტი, რომელიც რევოლუციამდე პრივილეგიური ფეოდალურ-ბურჟუაზიული ფენების მონოპოლიას შეადგენდა, საბჭოთა ხელისუფლების დაყარების პირველი დღეებიდანვე გადაიქცა მშრომელთა კულტურული დასვენების ერთ-ერთ საყვარელ სახედ და მათი მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ძნიშვნელოვან წყაროდ.

მონადირეთა კავშირის წესდება საქართველოს რევკომმა დაამტკიცა 1921 წლის 10 მარტს. ერთი წლის მანძილზე საქართველოს მაშინდელ 15 მაზრაში ჩამოყალიბდა მონადირეთა გაერთიანებანი. 1922 წლის ივნისში შეიკრიბა სრულიად საქართველოს მონადირეთა დელეგატების პირველი ყრილობა, რომელმაც ცენტრალიზმით შეიტანა კავშირის წესდებაში, შეიიქმნა ნადირობის ვადები, მისი წესები, მიიღო გადაწყვეტილებანი ჯიშიანი შეძაღლეობის გავითარების, სანადირო ფაუნის დაცვის, ნაკრძალთა ორგანიზაციის შესახებ, ამავე დროს დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი კავშირის მომავალი მუშაობისათვის.

მას შემდეგ საქართველოს მონადირეთა კავშირი განუხრლებ იზრდებოდა. 25 წლის მანძილზე „მონკავშირი“ აერთიანებდა საშუალოდ ოცდახუთ-ოცდაათ ათას წევრს. კავშირმა დიდი მუშაობა ჩაატარა. უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში სახელმწიფოს ჩაბარდა 4.833.000 მანეთის სავალუტო ძვირფასი ბეწვეული, მათ შორის 1.048 წყავ, 32.827 კვერნა, 58.562 მელა, 3.523 მთახვი (ამერიკული ნუტრია) და 636 ვერცხლოვან-შავი მელა საუთარი ფერმებიდან. განადგურებულია 7.634 მგელი, 26.168 ტურა, 17.390 გარეული კატა—მეცხოველობისა და სანადირო ფაუნის ეს ყველაზე უფრო საშიში და დაუძინებელი მტრები.

მონადირეთა კავშირის მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული უბანია ძვირფასი ბეწვიანი ამერიკული ნუტრიისა და წავანას, უსურიის ენოტისებური ძაღლის და დურაჯის მოშენება საქართველოში. ამ ღონისძიებათა ჩასატარებლად საქართველოს მონადირეთა კავშირმა 200 ათასი მანეთი გაიღო. ვერცხლოვან-შავი მელის ფერმების ორგანიზაციის საქმისათვის მან 1.266.000 მანეთი დაუბანდა.

ამჟამად მონადირეთა კავშირში შედის ორი ავტონომიური რესპუბლიკის, ერთი ავტონომიური ოლქის კავშირები და 60 რაიონული მონადირეთა ამხანაგობა, რომლებშიც გაერთიანებულია 20.000-ზე მეტი მონადირე. კავშირს აქვს მონადირეთა აიარაღისა და მოწყობილობის საკმაოდ ძლეული, რომლის წლიური ბრუნვა 4-5 მილიონ მანეთს უდრის.

სამამულო ომის დაწყებამდე აფხაზეთსა, აჭარასა, სამხრეთ-ოსეთსა და საქართველოს 23 რაიონში ჩატარდა სამონადირო-კეკონომიური გამოკვლევები. წლების მანძილზე გამოდიოდა ეურნალი „მონადირე“. ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა რამდენიმე წიგნი სანადირო ფაუნისა და მეძაღლეობის შესახებ. დასაბეჭდად გამზადებულია მეტად საჭირო—„მონადირის სამაგიდო წიგნი“.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კავშირის გამგეობასთან არსებული ჯიშიანი მეძაღლეობისა და მსროლელთა სექციები. მუხრანის საჯიშე-საველე პუნქტში გაზრდილმა და დაგეშილმა ძაღლებმა 1939 წელს სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს. მსროლელთა სექციის წევრებსაც არაერთგზის აუღიათ პირველობა საკავშირო შეჯიბრებებში.

საქართველოს მონადირეთა რიგებს აშკარად ეწევიან ქვეყნის სამაყო შეილები: საბჭოთა კავშირის გმირები, მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით—ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული მეომრები, რომლებმაც თავი ისახელეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და იაპონელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტებზე.

მონადირეთა კავშირის წინაშე დასახულია ახალი ამოცანები. უნდა ვეცადოთ, რომ საქართველო გახდეს სანადირო სპორტის საუკეთესო ადგილი. საჭიროა საქართველოს ფაუნა შეივსოს ახალი სახეებით, ყოველ მონადირეს ჰყავდეს საუკეთესო ძაღლი. მონადირეებმა უნდა ისწავლონ საუკეთესო სროლა, უცნობ ადგილებში გარკვევა. ამით ისინი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების საქმეში შეიტანენ თავიანთ წვლილს. ცნობილია, რომ სამამულო ომის ფრონტებზე მონადირეები იყვნენ საუკეთესო მზვერავები, გამყოლები, გზის მაჩვენებლები.

საქართველოს მონადირეთა კავშირი პარტიისა და მთავრობის დახმარებით განახორციელებს მის წინაშე დასახულ ამოცანებს, რითაც ხელს შეუწყობს მეოთხე სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულებას.

ვ. ბურჯანაძე
საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

გადადებული პარტიების დამთავრება

გუშინ დამთავრდა გადადებული პარტიები.

გროსმაისტერმა კერესმა მოუგო ფირცხალავას და ზაგორიანსკის. შეშვიდა ფალავანდიშვილს, პეტროსიანმა არუთინოვს.

გაჩერებულიყო მოუგო აღმალიანს და ყამიდი დაასრულა პარტია სურენდასთან. ყამიდი დასრულდა ავრეთვე ციცკიძე-სურენას პარტია. სოროკინმა მოუგო ქარსელაძეს და გოორგაძეს. გოორგაძემ გაუთამაშებლად დასთმო პარტია ზაგორიანსკისთან. ებრალიძემ მოუგო ქარსელაძეს, გიორგაძემ ფირცხალავას. ყამიზე შეთანხმდნენ მიკენასი და ზაგორიანსკი.

ოსტატმა ზაგორიანსკიმ ყამიდი შესთავაზა ფირცხალავას, რაზედაც უკანასკნელმა უარი განაცხადა. მას მოგების გარკვეული შანსები მართლაც ჰქონდა, მაგრამ ზუსტად ვერ ითამაშა, დაკარგა უპირატესობა, ხოლო შემდეგ ეიდეც დამარცხდა.

ცხრა ტურის შემდეგ შეჯიბრების მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: კერესი+9, მიკენასი+7½, ზაგორიანსკი+6½, ებრალიძე და ციცკიძე+6, ბლაგიძე+5½, პეტროსიანი+4½ (2 გადად.), სერგეი+4½ (2 გადად.), სოროკინი, გიჭერიძე, მალაშხია+4½, შიშოვი +4 (1 გადად.), გოორგაძე და ფირცხალავა+4, ფალავანდიშვილი და ნერსესოვი+3, ვეიზერი +2½, აღმალიანი+2, არუთინოვი+1½ (1 გადად.) და ქარსელაძე—0.

დღეს ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებენ. ხვალ, 25 მარტს, გათამაშდება მეათე ტური. ოსტატი ებრალიძე ხვდება გროსმაისტერ კერესს. ოსტატ მიკენასს ეთამაშება გიჭერიძე, ოსტატ ზაგორიანსკის—სოროკინი.

გროსმაისტერ კერესისა და ოსტატ მიკენასის ერთდროული თამაშის სეანსები

დღეს, 24 მარტს, თბილისის სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლში ჩატარდება გროსმაისტერ კერესის ერთდროული თამაშის სეანსი. დასაწყისი დღის 1 საათზე.

დღეს 4 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდება ოსტატ მიკენასის ერთდროული თამაშის სეანსი.

ქეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

25 მარტს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობისა და ხალხთა უშიშროების დასაყრდენია“.**

სემინარს ქართულ ენაზე ჩაატარებს დოცენტი **ლარცულიანი,** რუსულ ენაზე—ამხ. **პრიმო.**

25 მარტს, საღამოს 8 საათზე, პოლიტეკონომიაში ჩატარდება კონსულტაცია.

კონსულტაციას ჩაატარებს ამხ. **ბასილაია.**

26 მარტს, დილის 10 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებისა და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„მონღოლთა შემოსევა საქართველოში“.**

სემინარს ჩაატარებს აკადემიკოსი **ბერძენიშვილი.**

26 მარტს, დილის 10 საათზე, სახელოსნო საწვავლებლების პოლიტმუშაკებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„პარტიის ბრძოლა ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის“.**

სემინარს ჩაატარებს ამხ. **ტატიშვილი.**

ლექცია

26 მარტს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის შესდგება ამხ. შავდიას ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„ლენინიზმი—რუსული და მსოფლიო კულტურის უმაღლესი მიღწევა“.**

შესვლა თავისუფალია.

შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან

აღ. ჯაფარიძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა აწყობს შეხვედრას სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძესთან.

საღამო შესდგება 25 მარტს, 8 საათზე სანკულტურის თეატრში (შეროზიას ქ. № 1).

თეატრებში

24 მარტს: სახელმწიფო ოპერა—„პატარა ქაბა“. რუსთაველის სახელობის—„ინსპექტორი მოვიდა“. მარჯანიშვილის სახელობის—„ჭირვეული ცოლის მორჯულება“. გრიბოედოვის სახელობის—„ინჟინერი სერგეევი“. მუსიკალური კომედიის—„აზნაურები“. სომხური—„სურამის ციხე“. ახუნდოვის სახელობის—„გულთა დამონებელი“. მოზარდ მაყურებელთა ქართული—„ცაცარქეშია“. რუსული—„ოცი ბატონის მსახური“. თოჯინების ქართული — „ოცი ზაურობა ეცნაურ ქვეყნებში“.

კინოებში

24 მარტს: რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი—„დავით გურამიშვილი“. დამკვრელი —„ელიო“. ლუკიანოვის სახელობის—„სალვა“. **26** კომისრის სახელობის — „არშინ მალალან“ (აზერბაიჯანულ ენაზე).

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება კვირას, 24 მარტს, დილის 10 საათზე, კეცხოველის სახელობის სახალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქ. № 41).

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

ბევინის განცხადება პოლონელ ჯარისკაცთა პოლონეთში დაბრუნების შესახებ

ლონდონი, 20 მარტი. (საკდესი). როგორც ცნობილია, 20 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრმა ერნსტ ბევინმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მიღწეულია შეთანხმება, რათა ინგლისის სარდლობაში მყოფი პოლონელთა შეიარაღებული ძალების ჯარისკაცები გადაყვანილ იქნან უკან პოლონეთში.

ბევინმა სთქვა, რომ პოლონელი ჯარისკაცები სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ, რათა თავიანთი როლი შეასრულონ მათი დანგრეული ქვეყნის რეკონსტრუქციაში, და რომ იმათ, ვინც დაბრუნებას მოისურვებს, მიეცემათ სატრანსპორტო საშუალებანი.

„ამჟამად,—განაგრძო ბევინმა,—მიღწეულია შეთანხმება პოლონეთის დროებითს მთავრობასთან, და ჩვენ შევთანხმდით გამოვაქვეყნოთ პოლონურ ენაზე შედგენილი და პოლონეთის შეიარაღებული ძალების თვითეული ცალკე ჯარისკაცისადმი მიმართული დოკუმენტი. ჯარისკაცები ამ დოკუმენტს დღეს მიიღებენ. ამ დოკუმენტს დაერთოს ჩემი მიმართვა, რომელიც განმარტავს ინგლისის მთავრობის პოლიტიკას პოლონეთის შეიარაღებული ძალებისა და თვით პოლონელი ბერსონალი როგორც შეიარაღებული ძალები ინგლისის სარდლობით, ჩვენ გენერალ ანდერსისა და სხვა მეთაურთაგან პირობა მივიღეთ, რომ მათ სავსებით შეგნებული აქვთ ეს, და ითანამშრომლებენ, რათა ეს განსხვავება შეატყობინონ ყველა ჯარისკაცს და ამ ჯარისკაცებზე არავითარ ზეგავლენას არ მოახდენენ. იმ მხრივ, რომ განაწყონ ისინი დაბრუნების წინააღმდეგ. აგრეთვე რომ ისინი ინგლისის ხელისუფლებასთან ერთად იმუშაონ ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო ყველა ღონისძიების გატარებაში“.

ამერიკელი კორესპონდენტი იუღიის კრაინის მოსახლეობის განწყობილების შესახებ

ნიუ-იორკი, 23 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტი ფიუმედან იუწყება, მოკავშირეთა კომისიის წევრები სავსებით დარწმუნდნენ იმაში, რომ იუღიის კრაინის მოსახლეობას სურს ეს ოლქი იუგოსლავიას შეუერთდეს. კორესპონდენტი აცხადებს, რომ კომისიის ამერიკელმა წევრმა აუგროსლავიასთან შეერთების სასარგებლოდ გამართული 30 დემონსტრაციის დითვალა თავისი მოგზაურობის პირველი 50 მილის მანძილზე. მთელი ქალაქების მოსახლეობა მონაწილეობას იღებდა დემონსტრაციებში. მოჰქონდათ ალმები და პარტიულ ტიტოს პორტრეტები. მან განაცხადა, რომ, როგორც სჩანს, დიდძალი გლეხობა „განწყობილია ნაციონალისტურად და ზეიმობს“ იმ ამედით, რომ მიიღებს საკუთარ სლოვენურ მთავრობას. ბევრი ხორვატი, რომლებიც ფიუმეს მოსახლეობის 70 პროცენტს შეადგენენ, ეტყობა იწონებს აუგოსლავიასთან შეერთებას.

ბერძნული გაზეთების პროვესვები 31 მარტს არჩევნების ჩავარეგების წინააღმდეგ

ათენი, 22 მარტი. (საკდესი). გაზეთი „ელეფთერია ელადა“ კომენტარს უკეთებს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას საბერძნეთში მომავალი არჩევნების შესახებ და სწერს:

„ეს განცხადება აჭარწყლებს ყოველგვარ ცნებას საბერძნეთის დამოუკიდებლობის შესახებ. სავსებით უყოყმანოდ და სრულიად უსაბაბოდ ცხადდება, რომ ინგლისის მთავრობამ ბრძანა საბერძნეთში არჩევნების ჩატარება და რომ ბევინი ამის ანგარიშს არავის აბარებს. ჩვენი ქვეყნის ყოველი პატიოსანი მოქალაქის წინაშე ახლა სავსებით მტკიცედ წამოიჭრა ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება სავსებით აშკარაებს 31 მარტისათვის დანიშნული არჩევნების პაროდიას როგორც ინგლისის ჩარევას იმ მიზნით, რომ თავს მოგვახვიოს მონარქია და განამტკიცოს ეროვნული დამონების რეჟიმი, რომელიც ლეგალიზებულია ყალბი და არა თავისუფალი არჩევნებით. უარს ამბობენ რა მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, რომელიც უწინდელ მოგვახვიეს თავს ინგლისელებმა, ბერძნები იცავენ თავიანთ ღირსებას და თავიანთ ქვეყანას კოლონიური მოპყრობისაგან, რომლის ნიშნებსაც წარმოადგენს გუშინდელი კომუნიკე“.

ათენი, 23 მარტი. (საკდესი). დემოკრატიული პრესა განაგრძობს საბერძნეთში არჩევნების ჩატარების შესახებ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების კომენტარებას. გაზეთი „ვიმა“ ეხება განცხადებას იმის შესახებ, რომ თითქოს ინგლისის მთავრობა ისწრაფვის გამოავლინოს ბერძენი ხალხის სუვერენული ნება და სწერს, ახლანდელ პირობებში ხალხის ნების ეს გამოვლინება შეუძლებელიაო. არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ პარტიები, რომლებსაც მნიშვნელოვანი მასები ემხრობიან. გაზეთი აღნიშნავს, რომ კანდიდატებს არ შეუძლიათ თავიანთი საარჩევნო ოლქების შემოვლა, ვინაიდან მთელი ოლქები ტერორქვეშ იმყოფებიან და თვით პრემიერ-მინისტრს შეუძლებლად არ მიაჩნია, რომ მას სცემონ.

როგორც გაზეთი „ელეფთერია“ ფიქრობს, ინგლისის განცხადებიდან ნათელია, რომ „არჩევნები 31 მარტს ჩატარება არა იმიტომ, რომ წესრიგი უკვე აღდგენილია, არამედ იმიტომ, რომ სთვლიან, მისი აღდგენა შეუძლებელიაო“. „ბერძნების ყურს,—აცხადებს გაზეთი,—ტრაგიკულ ირონიად ესმის ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს სიტყვები იმის შესახებ, რომ ბერძნებს შესაძლებლობა ეძლევათ არჩევანი მოახდინონ 14 პარტიას შორის, ვინაიდან, თუ გამოვიცანით სოფულისის პარტიას, რომელიც რესპუბლიკის მომხრეა, დანარჩენი „13 პარტია“ უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისგან მხოლოდ ი